გამოცემის 102-ე წელი

# აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№69 (24.949) სამშაბათი, 5 - 6 ივლისი, 2022 წ. 50 თეთრი

## გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 23-28, მაღალ მთაში - 15-20 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 20 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 758 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

## კრიალოსანი იუსი

პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა აშშ-ის დამოუკიდებლობის 246-ე წლისთავთან დაკავშირებით მილოცვა გაავრცელა. „გილოცავთ აშშ-ს დამოუკიდებლობის დღეს! ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ღირებულებებზე დაფუძნებული პარტნიორობით, რომელიც ვითარდება და ძლიერდება 3 ათწლეულის განმავლობაში. დაე, ეს საიუბილეო წელი იყოს საქართველოსა და აშშ-ის შორის კავშირების გაღრმავების ახალი დასაწყისი,“ - დაწერა პარლამენტის თავმჯდომარემ. სოციალურ ქსელში.

* * *

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკური საქმეების და უსაფრთხოების კომიტეტზე დამტკიცდა რეზოლუცია, რომლის თანახმად ასამბლეა მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, მოახდინოს საქართველოს ოკუპირებული რეგიონების, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დეოკუპაცია და კონსტრუქციულად ჩაერთოს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში. ინიციატივა ეკუთვნის ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელს, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ სამხარაძეს, რომელიც ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ზაფხულის სესიის მუშაობაში მონაწილეობს.

* * *

რადიკალურ ოპოზიციას რევოლუციის მოწყობის რესურსი არც ახლა აქვს და არც დეკემბერში ექნება. ქვეყნის არევას და ომში ჩათრევას ეს ადამიანები ვერ შეძლებენ, - ამის შესახებ საუბარია პარლამენტარების - დიმიტრი ხუნდაძის, სოზარ სუბარისა და მიხეილ ყაველაშვილის მორიგ განცხადებაში, რომლითაც ისინი დედაქალაქში გამართულ 3 ივლისის აქციას გამოეხმაურნენ. „საზოგადოებისთვის წარდგენილი გეგმის შესასრულებლად ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს. დარწმუნებული ვართ, დეკემბერში მისაღები გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და წლის ბოლოს საქართველოს კანდიდატის სტატუსს არავინ მიანიჭებს. თუმცა, მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ უნდა აჩვენოს, რომ ევროინტეგრაცია მისთვის მყარი პრიორიტეტია და მიზნის მისაღწევად, მის გასაკეთებელს სათანადოდ აკეთებს“, - აღნიშნულია განცხადებაში.

* * *

3 ივლისს თბილისში, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე კვლავ შეიკრიბნენ მოქალაქეები. დაანონსებულ აქციაში მონაწილეობის მისაღებად ადამიანები დედაქალაქში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან ჩავიდნენ. მათ სიტყვით მიმართეს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა. აქცია - „წინ ევროპისკენ“ ევროკავშირის, უკრაინისა და საქართველოს ჰიმნებით დაიწყო.

მოამზადა
ია შველიძე

## აგროფორუმი – „ქალები რეგიონისთვის“



აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით და საერთაშორისო დონორი ორგანიზაცია UNDP-ის მხარდაჭერით, სასტუმრო „რედისონში“ აგროფორუმი - „ქალები რეგიონისთვის“ გაიმართა. მისი მიზანი რეგიონის აგრალურ დარგში ჩართული ქალბატონების მხარდაჭერა, მოტივაციისა და ცნობადობის გაზრდა იყო. ღონისძიებას ესწრებოდნენ აჭარის უმაღლესი საბჭოს, აჭარის მინისტრთა კაბინეტის, არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, სამრეწველო პალატის, ამაგის წევრები.

ფორუმი მისასალმებელი სიტყვით აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ გახსნა. როგორც მან აღნიშნა: „აჭარაში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება სოფლის მეურნეობის მიმართულებით, სადაც მზარდია ქალების ჩართულობა.

2018-2022 წლებში აჭარის მთავრობის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანადგომით, საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში, 314 პროექტი, ხოლო სოფლად მეწარმეობის განვითარების ფარგლებში - 58 პროექტი დაფინანსდა. მთავრობის ხელშეწყობით, 30 საოჯახო ღვინის მწარმოებელი მეურნეობა მოეწყო. აჭარაში, 160 ჰა ფართობზე გაშენდა მრავალწლოვანი ხეხილოვანი კულტურები, რითიც 2100 ფერმერმა ისარგებლა“.

აგროფორუმის მონაწილეებს სიტყვით მიმართა აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ.

- უმნიშვნელოვანესია ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, მათი მოტივირებულობა და აქტიური ჩართულობა ფერმერული მეურნეობის განვითარებაში. რეგიონის აგრარული დარგის სხვადასხვა პროფილში ჩართული ქალი აგრომეწარმეები, კაკლოვან, კენკროვან, სუბტროპიკულ და სხვა მრავალწლიან კულტურებს აშენებენ, დაკავებულები არიან მეფუტკრეობისა და საკალმახე მეურნეობის განვითარებით. ეს მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საწინდარია, - აღნიშნა მინისტრმა.

ანკა ჩხიკვაძე

## ტყვიის ექსპოზიციის კვლევის საკითხზე ბათუმში სამუშაო შეხვედრა გაიმართა

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

გაეროს ბავშვთა ფონდისა (UNICEF) და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, ტყვიის ექსპოზიციის კვლევის საკითხზე ბათუმში სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე და გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლი საქართველოში ღასან ხალილი, ასევე საქართველოსა და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.





შეხვედრაზე მონაწილეებს ამირან გამყრელიძემ ტყვიის კვლევის, პრევენციისა და მკურნალობისათვის სახელმწიფოსა და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში გააცნო. ასევე, ნორვეგიელმა კონსულტანტებმა დისტანციურ რეჟიმში წარმოადგინეს ტყვიის საზედამხედველო სისტემის მოდელი საქართველოსთვის.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი აჭარაში 2020 წლიდან ახორციელებს პროგრამას, რომლის ფარგლებში კვლევა უტარდება ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტით მოსარგებლე ორსულებს, აგრეთვე ლაქტაციის პერიოდში მყოფ ქალებს და 8-14 წლის ასაკის მოზარდებს. პროგრამის ფარგლებში წელს სკრინინგი ჩაუტარდება 4500 ქალს და 3800 ბავშვს. მიმდინარე წლის ივლისიდან პროგრამაში ჩაერთვებიან 7 წლის ასაკიდან ბავშვებიც.

0-დან 7 წლამდე ასაკის პატარებში ტყვიის ესქპოზიციის კვლევა ხორციელდება სახელმწიფო პროგრამით.

## განსახორციელებელი პროექტები მისაღები უნდა იყოს მოქალაქეებისთვისაც და ბიზნესისთვისაც

3

## საქართველოში კორონავირუსის ათობით შემთხვევა ფიქსირდება

5

## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.



დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

# აჭარის ტურიზმის და უძრავი ქონების კვლევის პრეზენტაცია

„2022 წელს საქართველოს ეკონომიკის ზრდის მოლოდინი 10%-ზე მეტია. ქვეყნის ეკონომიკასთან შედარებით, აჭარის ეკონომიკა კიდევ უფრო სწრაფად იზრდება და მისი ზრდის მოლოდინი დაახლოებით 18.5%-ს შეადგენს," - აღნიშნულია „თიბისი კაპიტალის" მიერ მომზადებულ კვლევაში, რომლის პრეზენტაციაც ამ დღეებში ბათუმში გაიმართა. მასშტაბური კვლევა მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს, აჭარაში საცხოვრებელ და კომერციულ უძრავ ქონებას, ტურიზმის სექტორში არსებულ ვითარებას ეხება.

„თიბისი კაპიტალის" შეფასებით, 2022 წელს აჭარის ეკონომიკის წილი საქართველოს ეკონომიკაში თითქმის 10%-ს შეადგენს. 2022 წლის პირველ კვარტალში, აჭარის ბიზნეს სექტორში დასაქმების მაჩვენებელი 12.3%-ით აღდგა. ამავე პერიოდში, საშუალო ხელფასის ზრდამ 20.8% შეადგინა, მაისის მონაცემებით, ქვეყანაში 319 796 საერთაშორისო ვიზიტი დაფიქსირდა. მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა კი 259 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2019 წლის მაჩვენებლის 96%-იან აღდგენას ნიშნავს. ქვეყნის სხვა რეგიონებთან შედარებით, ბათუმში ტურიზმის აღდგენა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

აჭარის კომერციული უძრავი ქონების ბაზრის კვლევის თანახმად, ბათუმში ამჟამად 4 მთავარი სავაჭრო ცენტრი ფუნქციონირებს. 2024-2025 წლებისთვის მათი რაოდენობა 7-მდე, სავაჭრო ფართი კი 3-ჯერ გაიზრდება. ახალ მოლებში იჯარის უფრო მაღალი ფასის გამო, იჯარის საშუალო ფასის ზრდაა მოსალოდნელი. კვლევაში აღნიშნულია, რომ „ბათუმში ქუჩის სავაჭრო ფართების ბაზარზე იჯარის ფასმა პანდემიამდელ დონეს გადააჭარბა. საცხოვრებელი უძრავი ქონების მშენებლობების პარალელურად, ქუჩის სავაჭრო ფართების მიწოდება სტაბილურად იზრდება. იჯარის ფასი სრულად აღდგა პანდემიის შემდეგ. 2022 წლის II კვარტალში დადებულ კონტრაქტებში, იჯარის ფასი წლიურად 12-



17%-ითაა გაზრდილი. სავაჭრო ცენტრების მზარდ მიწოდებასთან ერთად, ქუჩის სავაჭრო ფართებზე იჯარის ზრდის შენელებაა მოსალოდნელი.

ოფისებისა და ბიზნესცენტრების სექტორი ბათუმში განვითარების საწყის ეტაპზეა. ბათუმში ამჟამად მხოლოდ 1 ბიზნესცენტრი ფუნქციონირებს. 2022 წელს საოფისე ფართებზე მოთხოვნა გაიზარდა, რაც იჯარის ფასზეც აისახა. მოთხოვნის ზრდასთან ერთად, მომავალში საერთო სამუშაო სივრცეებისა და ბიზნესცენტრების რაოდენობის ზრდაა მოსალოდნელი. აჭარის საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის კვლევის თანახმად, უცხოელების მხრიდან მოთხოვნა აჭარაში საცხოვრებელ უძრავ ქონებაზე კვლავ დიდია. 2016-2021 წლებში საქართველოში საცხოვრებლად 70.5 ათასი უცხოელი მიგრანტი ჩამოვიდა. მათი უმეტესობა იყო რუსეთის (30%), ირანის (11%), აზერბაიჯანის (10%), თურქეთის (9%) და უკრაინის (6%) მოქალაქე. რუსეთის, ბელარუსისა და უკრაინის მოქალაქეების გარდა, ბოლო დროს მნიშვნელოვნადაა გაზრდილი დაინტერესება ისრაელის, პოლონეთისა და გალფის ქვეყნების მოქალაქეების მხრიდან.

2020 წლიდან აჭარაში სამშენებლო ნებართვების გაცემა მკვეთრად შემცირდა, განსაკუთრებით I ზოლში და გარეუბნებში. 2021 წელს, ბათუმში 35 ახალი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის ნებართვა გაიცა. აღსანიშნავია, რომ ნებართვა არ გაცემულა I ზოლში მშენებლობისთვის. „თიბისი კაპიტალის" მოლოდინის შესაბამისად, სამომავლო მშენებლობები პერიფერიისა და გარეუბნებისკენ გადადის. მათივე პროგნოზით, 2022 წლის განმავლობაში, საცხოვრებელი უძრავი ქონების ტრანზაქციების რაოდენობა 29%-ით, გასაყიდი ფასი კი 6%-ით გაიზრდება.

პრეზენტაციაზე ბიზნესსექტორისა და მთავრობის წარმომადგენლებმა ქვეყნის ეკონომიკაში რეგიონის როლზე გაამახვილეს ყურადღება. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ კი მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე, საინვესტიციო პროექტებსა და ტურიზმის განვითარებაზე ისაუბრა.

**ანკა ჩხიკვაძე**

# ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი მოსწავლეები დაჯილდოვდნენ

**ოთარ ცინარიძე 599 85 21 14**

***ქედის მუნიციპალიტეტში 29 საჯარო სკოლაა. გასულ სასწავლო წელს სკოლა 170-ზე მეტმა ახალგაზრდამ დაამთავრა, მათგან 11 ოქროსა და 3 ვერცხლის მედალოსანი იყო.*** მათი დაჯილდოების ცერემონია მუნიციპალიტეტის მერიაში გაიმართა. სხვადასხვა საჯარო სკოლის წარჩინებულ კურსდამთავრებულებს მედლები აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველმა მოადგილე ჯემალ სურმანიძემ, ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ და ქედის რესურსცენტრის ხელმძღვანელმა დურმიშხან შავიშვილმა გადასცეს.

- ყველაზე სასიამოვნო პროცესია, როცა ახალგაზრდებს მადლობას უხდი განათლების სრულფასოვნად მიღებისთვის. განათლებას ალტერნატივა არ აქვს. მჯერა, თქვენ იქნებით ჩვენი ქვეყნის სამაგალითო მოქალაქეები, პროფესიონალი პედაგოგები, ინჟინრები, ხელოვანები, აღიარებული მეცნიერები, ექიმები, მკვლევარები... სწორედ თქვენ ჩაიბარებთ მომავალში ქვეყანას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ განათლებაზე, პროფესიონალიზმზე, მაღალ სამოქალაქო და



ეროვნულ თვითშეგნებაზე იქნება დაფუძნებული, - თქვა როლანდ ბერიძემ შეხვედრისას.

მედალოსან მოსწავლეებს ქედის მერმა წარმატებები უსურვა და თვითმმართველობის სახელით მადლობის სიგელი და ფულადი ჯილდო გადასცა.

გუშინ ქედელი მედალოსნები ერთიან ეროვნულ გამოცდებში ჩაერთნენ.

# „მწვანე სექტორის პროგრამა"

**ოთარ ცინარიძე 599 85 21 14**

***ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში, „მწვანე საგრანტო პროგრამის" ფარგლებში, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ აგროსერვისცენტრის დირექტორი რაულ თავართქილაძე, მისი მოადგილე იოსებ აბულაძე, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ერთეულების, ადგილობრივი აგროსერვისცენტრის და საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდნენ.***

„მწვანე საგრანტო პროგრამა" ითვალისწინებს ენერგოეფექტურ და განახლებად მზის (ფოტოვოლტურ) ელექტრო სისტემაზე წვდომის



გამარტივებას, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლად მცხოვრებ ოჯახებს ელექტროენერგიის ხარჯების დაზოგვაში, შემცირდება ბუნებრივი (ტყის) რესურსების მოხმარება.

„მწვანე საგრანტო პროგრამა" ევროკავშირის (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით „სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის" (ENPARD) ფარგლებში ხორციელდება.

შეხვედრას ქედის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე იმედა ვასაძე ესწრებოდა.

- ეს პროგრამა თითოეული ქედელის ოჯახს სასიკეთოდ წაადგება, ახლა საჭიროა შესაბამისმა სამსახურებმა ოპერატიულად იმოქმედონ, - თქვა იმედა ვასაძემ.

**ამბები**

## შაბათ-კვირის ქრონიკა

ბათუმში მეზღვაურთა დღე აღინიშნა. 400-მა კურსანტმა ფიცი საზეიმო ვითარებაში დადო. პროფესიული დღესასწაული მეზღვაურებს ოფიციალურმა პირებმა მიულოცეს. მათ ყურადღება გაამახვილეს ბოლო მიღწევებზე, რომელიც ქართველი მეზღვაურების სერტიფიკატების აღი-



არებას უკავშირდება. ითქვა, რომ 62 დროშის ქვეშ მცურავ გემებზე შეუძლიათ ქართველებს დასაქმება, გაიზარდა მათი ანაზღაურებაც. საზღვაო სფეროს განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მეზღვაურები დააჯილდოვეს, ასევე, რამდენიმე კერძო და საჯარო უწყებამ წარჩინებულ სტუდენტებს სწავლის საფასური დაუფინანსა, გადაეცათ სამახსოვრო სიგელები. ტრადიციულად ზღვაში გვირგვინის ჩაშვებით და საყვირით მიაგეს პატივი დაღუპულ მეზღვაურებს. მანამდე კი ბათუმის ქუჩებში ტრადიციული მსვლელობა მოეწყო. გვირგვინით შეამკეს იუნკერთა საფლავი.

* * *

„ხელოვნება საზღვრებს გარეშე" - სიმღერისა და ცეკვის მერვე საერთაშორისო ფესტივალი დაიწყო. კულტურულ ღონისძიებაში, საქართველოს გარდა, სხვადასხვა ქვეყნის ანსამბლები ჩაერთნენ - სულ 1000 მონაწილე. ღონისძიების დაწყებამდე მოცეკვავეებმა მსვლელობა მოაწყვეს ანბანის კოშკის მიმართულებით. ფესტივალის მიზანი მეგობრული და კულტურული კავშირების გაძლიერებაა. მხარდამჭერია ბათუმის მერია.

* * *

ბათუმში კონფერენცია გაიმართა თემაზე - პრაქტიკული ნეონატოლოგიისა და პედიატრიის თანამედროვე გამოწვევები. ძილის დარღვევები და მათი მართვა სკოლამდელი ასაკის ბავშვებში, ქალის რძის ბანკის დაფუძნების პროექტი საქართველოში, ინფექციური დიარეა ბავშვთა ასაკში - ამ და სხვა მნიშვნელოვან თემაზე ისაუბრეს შეხვედრაზე მედიცინის მუშაკებმა. კონფერენცია ყოველწლიურია და მასში, ადგილობრივი და რეგიონებში მოქმედი პედიატრები და მედიცინის მუშაკები მონაწილეობენ. შეხვედრა საქართველოს ნეონატოლოგთა ასოციაციის ორგანიზებით ტარდება.

* * *

აქცია გაიმართა მახვილაურის დასახლებაში. აქაურები მთავრობას უწყლობის პრობლემის მოგვარებას სთხოვენ. მათი თქმით, 300-მდე ოჯახს სასმელი წყალი არ მიეწოდება და დასალევ წყალს ეზოში არსებული ჭაბურღილიდან იღებენ. აქციის მონაწილეები ამბობენ, რომ თუ პრობლემა არ მოგვარდა, ახალციხე-ბათუმის მაგისტრალს გადაკეტავენ. „ბათუმის წყალში" აცხადებენ, რომ ბათუმის შემოერთებული ტერიტორიებისთვის წყლის მიწოდება მას შემდეგ განხორციელდება, რაც მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მაგისტრალის სამუშაოების ძირითადი ნაწილი დასრულდება. მათივე თქმით, მოსახლეობისთვის წყლის მიწოდება ეტაპობრივად მოხდება.

აჭარა 101

№69 (24.949) სამშაბათი, 5-6.07.2022



# განსახორციელებელი პროექტები მისაღები უნდა იყოს მოქალაქეებისთვისაც და ბიზნესისთვისაც

*ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერ* ***არჩილ ჩიქოვანთან*** *დღევანდელი ინტერვიუ, ძირითადად, ჩვენი ქალაქის საინვესტიციო პოტენციალს ეხება. როგორ შეიცვალა და განვითარდა ბათუმი, როგორი გარემოა აქ ბიზნესისა და ინვესტიციებისთვის, რომელი ახალი პროექტების განხორციელებაა დაგეგმილი და როგორი ობიექტები სჭირდება ქალაქს? - ამ და მსგავს კითხვებზე პასუხებს დღეს მისგან მოვისმენთ.*



**- რა შეიცვალა ბოლო წლებში ბათუმში მისი ურბანული, ინფრასტრუქტურული განვითარების თვალსაზრისით?**

- როგორც მოგეხსენებათ, ბოლო ათწლეულების განმავლობაში ბათუმის ეკონომიკური განვითარება, ტერიტორიების გაფართოება და მოქალაქეების თვითშეგნების ზრდა შეუქცევადი გახდა. ქალაქი სხვადასხვა მიმართულებით ვითარდება. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, განსაკუთრებით ბოლო ორი წლის განმავლობაში, მიმართავს ყველა ინფრასტრუქტურულ და სხვა ღონისძიებებს ქალაქის პოტენციალის ამაღლებისთვის. ესენია: გამწვანება, რეკრეაციული სივრცეების, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, სპორტული ინფრასტრუქტურის განახლება და ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტმა, ისევე, როგორც რეგიონის ხელისუფლებამ, ქმედითი ნაბიჯები გადადგა. სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ბოლო წლებში 300 მილიონ ლარზე მეტია გაღებული. გვაქვს შესანიშნავი საფეხბურთო სტადიონი, რომელიც უეფას მეოთხე კატეგორიის სტანდარტებს შეესაბამება, შერეული სპორტული კომპლექსი ლეონიძის ქუჩაზე, რომლითაც 40-მდე ფედერაცია, ასევე ჩვენი შვილები, ქალაქის მომავალი სპორტსმენები სარგებლობენ. ვუმასპინძლეთ ისეთ მნიშვნელოვან ასპარეზობას, როგორიცაა ჭადრაკის ოლიმპიადა. ბოლო პერიოდში არაერთია ხელშესახები სპორტული მიღწევა. მიმდინარეობს საბავშვო ბაღების დათბუნების პროგრამა, ენერგოეფექტურობის ზრდაზე მუშაობა. 15 ბაღი გადაიარაღდება ინფრასტრუქტურულ ნაწილში, კონკრეტული პროექტები გვექნება, რომელსაც ვახორციელებთ გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკთან (KFW) ერთად. ვიცით, რომ წყლისა და წყალარინების სისტემების პროექტის მეოთხე ფაზა მიმდინარეობს და პრაქტიკულად, 100 000-ზე მეტ აბონენტს ბათუმში უკვე მიეწოდება უსაფრთხო 24-საათიანი წყალმომარაგება. დაგეგმილი გვაქვს ამ პროექტის მე-5 ფაზა, რომლის კონკრეტული სამუშაოები 2023 წლიდან დაიწყება. ამ პროგრამის შედეგად რამდენიმე წელიწადში ბათუმის ყველა აბონენტს ექნება 24-საათიანი წყალმომარაგება, წყალარინების თანამედროვე სისტემა. საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები თანაბრად არის გადანაწილებული ცენტრალურ ნაწილსა და პერიფერიებში და ასე გაგრძელდება. ტურისტული ნაკადის მატების შედეგად სასტუმროები სრულად არის დატვირთული. გვაქვს მონაცემები, რომ ტურიზმის თვალსაზრისით 2019 წლის მდგომარეობას 100 პროცენტით დავუბრუნდით. ეს სასიკეთოდ მოქმედებს ბევრი სექტორის ამოქმედებაზე და კონკრეტულ შემოსავლებს გააჩენს. აქედან გამომდინარე, ქალაქის როგორც ცენტრალური ნაწილის, ასევე ე.წ. შემოერთებული ტერიტორიების საინვესტიციო პოტენციალი იზრდება და ჩვენი პროგრამის მიზანი მომდევნო 4 წლის განმავლობაში 14-ვე ადმინისტრაციული ერთეულისთვის განვითარების თანაბარი შესაძლებლობის მიცემაა. ისეთი ადგილების გარდა, რაც აქვს ქალაქს (ბულვარი, ბოტანიკური ბაღი, ცენტრალური პარკი და ასე შემდეგ) მნიშვნელოვანია მწვანე, სარეკრეაციო სივრცეების, ტრენაჟორების, ბავშვთა კუთხეების, მცირე ზომის სკვერებისა და პარკების მოწყობა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ეზოებში. შარშან და წელს 30-ზე მეტი სკვერისა და ბაღის რეაბილიტაცია გვქონდა დაგეგმილი, უმეტესობა დასრულებულია.

**- ყველამ ვიცით, რომ ბოლო ხანებში გამკაცრდა რეგულაციები როგორც სამშენებლო, ისე არქიტექტურული თვალსაზრისით. თქვენი აზრით, ეს რა გავლენას მოახდენს ქალაქის იერსახეზე, ასევე ბიზნესზე და ინვენსტორების დაინტერესებაზე ბათუმთან დაკავშირებით?**

- მნიშვნელოვანია, რომ წინა წლებში მიღებული გადაწყვეტილებებით ძალიან ბევრ პროექტზე ინვენსტირებისთვის ნებართვები გაცემულია რეგულაციების სრული დაცვით, რომლებიც ითვალისწინებს ქალაქის განაშენიანებას, თუმცა სამშენებლო სამუშაოები ამ დრომდე არ დაწყებულა. შემდგომი შეზღუდვები დაწესდა მხოლოდ და მხოლოდ ქალაქის იერსახის შესანარჩუნებლად. სწორედ ამისთვის შარშან გამოვაცხადეთ კონკურსი განაშენიანების გენერალურ გეგმასთან დაკავშირებით. ტენდერით შერჩეული გამარჯვებული კომპანია გვყავს. პირველი ეტაპი დასრულებულია, მიმდინარეობს კვლევები, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა გაცემული ნებართვა მისი მოცულობითა და მოცემულობებით. დოკუმენტი, რომელსაც ჩვენ მივიღებთ, იქნება ერთგვარი კონსტიტუცია, ჩარჩო, რითაც შემდგომი წლების განმავლობაში უნდა ვიხელმძღვანელოთ მუნიციპალიტეტმაც, მისმა წარმომადგენლებმაც, ასევე, დეველოპერებმა და ინვესტორებმა, რათა ქალაქი განვითარდეს. გეგმაზომიერი განვითარება არ ნიშნავს, რომ ინვესტიციები არ უნდა განხორციელდეს, აქ მთავარი და მნიშვნელოვანია, არ განმეორდეს 30 წლის განმავლობაში დაშვებული შეცდომები, მათ შორის ურბანისტიკაში, თუნდაც არქიტექტურაში, განაშენიანების ნაწილში. ჩვენ დავიწყეთ ისეთი პროექტების განხორციელება, როგორიცაა „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“. იცით, რომ ავარიული სახლები დიდი გამოწვევაა ჩვენი ქალაქისათვის. 300-მდე მისამართზე ტარდება შესაბამისი საექსპერტიზო პროცედურები, რის შედეგადაც მივიღებთ სრულ სურათს, ზუსტად რამდენ სახლს სჭირდება სრული რენოვაცია, რადგან დღეის მდგომარეობით ექსპლოატაციისთვის გამოუსადეგარია. დაახლოებით 3 000-მდე ოჯახს აქვს ეს გამოწვევა. აჭარის მთავრობა დაახლოებით, 80 მილიონ ლარს დახარჯავს ჩვენი თანამოქალაქეების უსაფრთხო საცხოვრისით დაკმაყოფილებისთვის. ჩართულია როგორც ჩვენი, ასევე აჭარის მთავრობის საბინაო ფონდი. ამავდროულად საქართველოს მთავრობამ, პრემიერ-მინისტრმა მხარი დაუჭირა ახალ მიმართულებას, კომპონენტს ამ პროგრამაში, რაც ითვალისწინებს აჭარის მთავრობის თავდებობით საფინანსო ინსტიტუტებთან კონკრეტული პროექტების განხორციელებას. ამასთან, თქვენ იცით, რომ ბოლო დღეების განმავლობაში ბათუმის მერიის ინიცირებულ კანონპროექტს მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტმა, რაც ასევე გულისხმობს, რომ კოეფიციენტის ნაწილში ქალაქ ბათუმის მერი გადაწყვეტილებებს მიიღებს საკრებულოსთან და მერიის სათათბირო ორგანო - საბჭოსთან შეთანხმების საფუძველზე, რათა ბათუმელების ინტერესები იყოს დაცული, მიიღონ უსაფრთხო საცხოვრისები და ახლით ჩანაცვლდეს უსახური შენობები. თუმცაღა არსებული რეგულაციების კვალდაკვალ მნიშვნელოვანია როგორც ინვესტორებისა და კერძო სექტორის, ასევე ჩვენი თანამოქალაქეების ხელშეწყობა. სამშენებლო კოდექსი, რომელიც ახლა მოქმედებს ბათუმსა და მასთან შემოერთებულ ტერიტორიებზე, ძალაშია მანამ, სანამ გვექნება განაშენიანების გენერალური გეგმა.

**- „აჭარაში“ ახლახან დაიბეჭდა თამარის დასახლებაში მცხოვრებთა გულისტკივილი, რომელთა სახლი ავარიულია და აღნიშნულს, მათი თქმით, ექსპერტთა დასკვნაც ადასტურებს, მაგრამ მეზობელი სახლი აიღეს, მათი კი არა. ინვესტორმა მიიღო ეს გადაწყვეტილება და არა მერიამ?**

- მაქსიმალური ხელშეწყობა ამიტომაც ჭირდება კერძო სექტორს, ინვესტორებს, რათა ყველა მისამართზე (116 მისამართი გვაქვს გასაჯაროებული) მოგვარდეს პრობლემა, სადაც სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნით დადგენილია დაზიანების ხარისხი, შენობის არსებული მდგომარეობა და მითითებულია, რომ მისი ექსპლოატაცია არის საფრთხის შემცველი. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო პროგრამა ხორციელდება საბიუჯეტო რესურსით და საბინაო ფონდიც იქნება ჩართული, ბუნებრივია, რომ ეს, ხშირად, არ კმარა კონკრეტული პრობლემის მოგვარებისათვის. ამიტომაც გვაქვს ახალი ინიციატივები, რომლებსაც მხარი დაუჭირა მთავრობამ, პრემიერ-მინისტრმა. სწორედ ამ შემთხვევაში, როცა ერთ ეზოში შევიდნენ და მეორეში - ვერა, კონკრეტული შეთანხმება ვერ მოხდა ინვესტორსა და მოქალაქეებს შორის. ინვესტორებმა უნდა გაითვალისწინონ მოსახლეობის მოთხოვნებიც, კოეფიციენტებიც (რისი აშენება შეიძლება ამა თუ იმ ზონაში). აქ სჭირდებათ მათ მხარდაჭერა, რათა განსახორციელებელი პროექტი რენტაბელური და მომგებიანი იყოს ბიზნესისთვისაც და ჩვენც მხოლოდ იმ 80 მილიონის იმედზე არ დავრჩეთ.

**- საუბარი იყო ფულად კომპენსაციებზეც, რაც, მოსახლეობის თქმით, არ კმარა ბინების შესაძენად...**

- სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამაში ფულად კომპენსაციაზე არსად არ არის მინიშნება. საუბარი არის მხოლოდ ამ პროგრამის ფარგლებში იმ კონკრეტულ საცხოვრისებზე, რომლებიც დაზიანებულია და მისი ტოლ-სწორი კვადრატულობის მქონე ქონების გადაცემაზე, თუმცაღა ექსპროპრიაციის ელემენტი არის გასათვალისწინებელი, ვინაიდან ჩვენ გვაქვს შემთხვევები, როდესაც 80-ოჯახიან ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის სახლში აბსოლუტური უმრავლესობა, პირობითად 75-76 ოჯახი, თანახმაა არსებულ პირობებზე, დანარჩენებს კი აქვთ ინდივიდუალური მიდგომა და არ თანხმდებიან პროგრამაში ჩართვას. ამ შემთხვევაში ადამიანების სიცოცხლე რისკის ქვეშ არ უნდა დადგეს, ისევე როგორც პროექტის განხორციელება და გამოსაყენებელია ექსპროპრიაციის უფლება, რადგან ჩვენი ქალაქისათვის დღეს ნომერ პირველი ამოცანა ავარიული სახლების ჯანსაღი უსაფრთხო საცხოვრისებით ჩანაცვლებაა.

**- როგორი ობიექტები არ ჰყოფნის ქალაქს, რომელთა შემომატება ინვესტიციების გზით კარგი იქნებოდა ბათუმში?**

- სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებაში ძალიან დიდი თანხა ჩაიდო, მათ შორის მცირე ტიპის პროექტებში, როგორებიცაა ეზოებში მოედნების, სათამაშო და სპორტული კუთხეების მოწყობა, ასევე - მსხვილ და მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ პროექტებში, რომლებიც ქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. იცით, რომ აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დაანონსებული აქვს აუზის პროექტი, რომელზეც მიდის მუშაობა და უახლოეს პერიოდში განხორციელდება. ამავდროულად ძალოსნობის დარბაზი შენდება ჩაქვის ტერიტორიაზე, დაგეგმილია არაერთი საბავშვო ბაღის აგება, 4-ის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელთაგან ერთი სასწავლო წლის დაწყებამდე დასრულდება, სამი კი წლის ბოლომდე შევა ექსპლუატაციაში. მიუხედავად ამისა, არის როგორც ახალი სკოლების, ასევე ბაღების საჭიროებაც. როგორც იცით, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ სამი ახალი სკოლის აშენების გადაწყვეტილება მიიღო და მშენებლობა მიმდინარეობს, სამომავლოდაც დაგეგმილია. საქართველოს პრემიერ-მინისტრმაც დააანონსა, რომ საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში იგეგმება ბაღებისა და სკოლების მშენებლობები. სასიამოვნოა საჯარო სკოლებსა და ბაღებზე რომ არის მოთხოვნა, ამ მიმართულებით ადგილობრივი ხელისუფლება ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად მუშაობს და ბუნებრივია, აქ ინვესტირება სასურველია. არის სასტუმროების მშენებლობის ინვესტირების საჭიროებაც, რადგან ვხედავთ, რომ სეზონის შუაგულში ყველა სასტუმრო უკვე დაკავებულია. ამ მხრივ სხვადასხვა დაინტერესებასთან დაკავშირებით ოპერირება იწყება უახლოეს პერიოდში და ახალი სასტუმროები, ჩვენთან არსებულ ბრენდულ სასტუმროებთან ერთად, ქალაქში ტურისტების ნაკადის ზრდას შეუწყობს ხელს.

> *„სწორედ ამ შემთხვევაში, როცა ერთ ეზოში შევიდნენ და მეორეში - ვერა, კონკრეტული შეთანხმება ვერ მოხდა ინვესტორსა და მოქალაქეებს შორის. ინვესტორებმა უნდა გაითვალისწინონ მოსახლეობის მოთხოვნებიც, კოეფიციენტებიც (რისი აშენება შეიძლება ამა თუ იმ ზონაში). აქ სჭირდებათ მათ მხარდაჭერა, რათა განსახორციელებელი პროექტი რენტაბელური და მომგებიანი იყოს ბიზნესისთვისაც და ჩვენც მხოლოდ იმ 80 მილიონის იმედზე არ დავრჩეთ*

იხ. მე-7 გვ.

## უცხოეთი

უკრაინელების გამარჯვების პირობა შეიარაღებაა, - ამის შესახებ პოლონეთის მმართველი პარტიის „სამართალი და სამართლიანობა“ ლიდერმა იაროსლავ კაჩინსკიმ განაცხადა. მისივე თქმით, კიევის პირობებით უკრაინაში მშვიდობის გარანტირება მხოლოდ ნატოს სამშვიდობო მისიას შეუძლია. „თუ ჩვენ გვინდა, რომ მშვიდობის გარანტირება ნამდვილად მოხდეს და, ამასთან, უკრაინისთვის ღირსეული პირობებით, ნატოს სამშვიდობო მისიის გარეშე ეს შეუძლებელი იქნება. თუ ვინმემ იცის ამ საქმის დეტალები, ესმის, რომ ეს გამორიცხული არ არის, თუმცა ასევე ნაკლებსავარაუდოა“, - განაცხადა კაჩინსკიმ და დასძინა, რომ ომი უკრაინაში შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, ან კონფლიქტი გაიყინება.

* * *

პუტინი ომისთვის დიდხანს ემზადებოდა და გაგრძელებასაც დიდხანს შეძლებს, - ამის შესახებ გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა განაცხადა, რითაც უპასუხა შეკითხვას, როდის ამოიწურება პუტინის იარაღი და სახსრები. მისივე თქმით, „პუტინი არის ძალიან დიდი ქვეყნის ლიდერი, სადაც ბევრი ადამიანი ცხოვრობს, ბევრი საშუალება აქვს, რითაც აწარმოებს ამ სასტიკ ომს“. შოლცმა ხაზი გაუსვა, რომ დასავლეთი უკრაინას იმდენ ხანს დაუჭერს მხარს, რამდენიც საჭირო იქნება მისი სიმშვიდის, დემოკრატიის, კანონის უზენაესობის და ყოველივე იმის დასაცავად, რაც უკრაინელ ხალხს სურს.

* * *

„კიევს მოუწევს გაიგოს რუსეთის ფედერაციის პირობები, დაეთანხმოს მათ და დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან“, - განაცხადა კრემლის პრესსპიკერმა დიმიტრი პესკოვმა. მისივე თქმით, დასავლეთი დღეს ფსონს დებს უკრაინაში საომარი მოქმედებების გაგრძელებაზე და, სავარაუდოდ, ისინი „ვაშინგტონის ხელმძღვანელობით, არ აძლევენ უკრაინელებს უფლებას იფიქრონ, ისაუბრონ მშვიდობაზე ან განიხილონ მშვიდობა“. პესკოვმა გამოხატა რწმენა, რომ „ადრე თუ გვიან, დასავლეთში საღი აზრი გაიმარჯვებს და უკრაინაზე მოლაპარაკებები განახლდება“.

* * *

ქვეყანაში საპროტესტო გამოსვლების შედეგად, მშვიდობიანი მოქალაქეები და სამართალდამცავები დაიღუპნენ, - განაცხადა უზბეკეთის პრეზიდენტმა შავქათ მირზიევმა. ერთ-ერთი ოპოზიციონერი პოლიტიკოსის თქმით, დაღუპულია სულ მცირე 5 ადამიანი. ამასთან, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ათასობით ადამიანი ჰოსპიტალიზებულია. მირზიოევის მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ აქციის მონაწილეებმა ქალაქ ნუკუსში „დესტრუქციული მოქმედებები“ ქვების სროლით, ხანძრის გაჩენითა და პოლიციაზე თავდასხმით განახორციელეს.

* * *

უკრაინის საზღვართან ახლოს მდებარე რუსეთის ქალაქ ბელგოროდში რამდენიმე აფეთქება მოხდა, რის შედეგადაც სულ მცირე სამი ადამიანი დაიღუპა. დაზიანდა თერთმეტი საცხოვრებელი კორპუსი და 39 კერძო სახლი, მათ შორის ხუთი დაინგრა. დაშავებულია სულ მცირე ოთხი ადამიანი, ორი კი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მათ შორის 10 წლის ბიჭი. მიმდინარეობს ინციდენტის გამომწვევი მიზეზების გამოძიება.

**მოამზადა**
**ია შველიძე**

# «მალე რამდენიმე ახალი სანერგე, საჩითილე მეურნეობა გვექნება»

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ «აგროსერვისცენტრს» რამდენიმე დღის წინ სათავეში ჩაუდგა გამოცდილი პოლიტიკური და სამეურნეო მუშაკი* ***რაულ თავართქილაძე****. «აჭარა» მას შუახევში ესაუბრა.*

**- ბატონო რაულ, რამდენად ელოდით, რომ ამ სფეროში მოგიწევდათ საქმიანობა?**

- ქვეყნის, რეგიონის წარმატება თითოეული ჩვენგანის პოზიციაზეა დამოკიდებული. ხულოში, სოფელ დეკანაშვილებში დაბადებული, ცხოვრების, შრომის, საზოგადოებასთან ურთიერთობის საკუთარი გზით მოვდივარ. პერიფერიაში დაბადებული ჭაბუკისთვის დიდი ნდობა იყო, როცა წესრიგის დამცველთა რიგებში მუშაობა დედაქალაქში შემომთავაზეს. იქ წლები გავატარე, პოლკოვნიკის ჩინით დავბრუნდი აჭარაში, კერძოდ, უმაღლეს საბჭოში მაჟორიტარ დეპუტატად გადმოვინაცვლე. ხულოსა და თანარაიონელებს ოთხი წლის განმავლობაში თანადგომას არ ვაკლებდი. საარჩევნო ვადის ამოწურვის შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილედ ვიმუშავე. ნდობის ფაქტორი, სამუშაოს არეალი უფრო გაიზარდა. ახლაც ქობულეთის, ხელვაჩაურის, სხვა მუნიციპალიტეტების დასახლებებში რომ მივდივარ, უნებლიეთ თვალს შევავლებ სკოლის, სკოლამდელი დაწესებულებების იმ შენობებს, რომლებიც იმ წლებში აშენდა ან რემონტი ჩაუტარდა. გეტყვით, რომ იმ წლებში დავიწყეთ სოფლებში ბაგა-ბაღების გახსნა. ახლაც თვალწინ მიდგას მერისელი, ნიგაზეულელი, ვაშლოვანელი, ღორჯომელი, ცხმორისელი თუ სხვა სოფლების მოსახლეობის სიხარული, როცა მათმა შვილებმა სკოლამდელი დაწესებულებების კარები შეაღეს. იმასაც გეტყვით, რომ მარტო აჭარის მთიანეთის სოფლებში დავესწარი 20-ზე მეტი სკოლის ახალი შენობის ექსპლუატაციაში შესვლას. სოფელი, მოსახლეობასთან ურთიერთობები, სპორტთან გამორჩეული კავშირი (ძველი სპორტსმენი ვარ) საფუძველს მაძლევდა, ეროვნული მეურნეობის ყველა დარგს გავცნობოდი. თუნდაც სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, ტრადიციული დარგების აღდგენაზე ხშირად მქონია მსჯელობა ისეთ ცნობილ მეცნიერებთან, როგორებიც ოთარ ღორჯომელაძე, მიხეილ ხოზრევანიძე, ამირან ბერიძე იყვნენ, როგორებიც რეზო ჯაბნიძე, ნოშრევან მამულაძე, შალვა აბაშიძე, რეზო ვასაძე და სხვები არიან.

**- ხელისუფლების ცვლა თქვენზე გავლენას არ ახდენდა?**

- მთავარია ქვეყნის სამსახურში ვიყოთ. თუ გუნდი თვლის, რომ მათ გვერდით უნდა იდგე, უკან დახევა არ მჩვევია. მე ოჯახით, პირადი პოზიციით იქ ვარ, სადაც ერისა და ქვეყნის ინტერესები მკარნახობს. წლების განმავლობაში მეუღლე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მუშაობდა. შრომით საქმიანობას ახლაც განაგრძობს. ქალიშვილი თბილისში სწავლობს, პრესტიჟული უნივერსიტეტის სტუდენტია, ვაჟი საკალათბურთო გუნდ «ბასკოს» მოთამაშეა და წარმატებულ კარიერას უწინასწარმეტყველებენ. პირველ რიგში, შვილების მომავლით ვარ დაინტერესებული და ამ ინტერესთა თანხვედრაშია ჩემი პოზიციაც. როდესაც შემომთავაზეს, რომ აჭარის მთავრობის აპარატში მემუშავა, კიდეც დავთანხმდი.

**- საუბარში აღნიშნეთ, რომ სოფელი, სოფლის მეურნეობა თქვენთვის უცხო არაა. რამდენად ნაცნობია თქვენთვის ის სამსახური, რომელსაც ახლა სათავეში უდგახართ?**

- სწავლა-სიბერემდეო. ბევრი ვიცოდი, ბევრს ვეცნობი და საფუძვლიანად ვსწავლობ. ადამიანებთან ურთიერთობის საკუთარი გამოცდილებაც მეხმარება, კარგი კოლექტივიც შემხვდა. ჯერჯერობით ჩემი საქმიანობა ახალი სამსახურის გაცნობით შემოიფარგლება.

**- ახალი ხელმძღვანელი კადრების გადახალისებაზეც ფიქრობს ხოლმე...**

- დრო ყველაფერს გვიჩვენებს. ამ სამსახურში ადამიანები წლებია მუშაობენ, გარკვეული გამოცდილებაც დაუგროვდათ. იმასაც ვაკვირდები, რომ ჩვენთან დარჩენა და მუშაობის გაგრძელება არ ეთაკილებათ.

**- პირველი დღეები რა აქტივობებით დაიწყეთ?**

- დასაქმებულებთან სამუშაო შეხვედრის შემდეგ იმ ობიექტების მონახულება დავიწყე, რომლებიც აგროსერვისცენტრის დაქვემდებარებაშია. მეგზურობას მოადგილე იოსებ აბულაძე და სხვა თანამშრომლები მიწევენ. არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობა ვნახეთ ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებულ სასათბურე და სანერგე მეურნეობებში. აქ მართლაც დიდი სამუშაოები გველის. გასული კვირის მიწურულს აჭარის მთიანეთში, კერძოდ, შუახევის მუნიციპალიტეტში იოსებ აბულაძესთან ერთად გახლდით. ახალდაბის ვაზის სანერგეში მიმართულე-



ბის მენეჯერ ემზარ ჯაფარიძესთან ერთად შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე დაგვხვდა. გავუსწრებ მოვლენებს და გეტყვით, რომ შუახევის მონახულებამდე საქმიანი შეხვედრა მქონდა მუნიციპალიტეტის მერ ომარ ტაკიძესთან. მათ ახალდაბის ვაზის, ქიძინიძეების ხეხილის სანერგეებთან, გორხანაულის ტერიტორიაზე არსებულ საჩითილე მეურნეობასთან და სხვა ობიექტებთან საქმიანი დამოკიდებულება რომ აქვთ, თვალნათლივ იკვეთება. სანერგე მეურნეობა შუახეველი და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ფერმერების მოთხოვნებს პომიდვრის, ბადრიჯნის, ტკბილი წიწაკის, ბროკოლის და სხვა ბოსტნეულის ჩითილების გამოყვანაზე რომ აკმაყოფილებს, გაცემული ნერგების წლევანდელი სტატისტიკიდანაც ჩანს. ემზარ ჯაფარიძემ და სხვებმა იმაზეც დაიჩივლეს, რომ ვეტერინარული კლინიკა აღარ ფუნქციონირებს, ყოფილი აგრომაღაზიის მენეჯერს როლანდ მიქელაძეს შენობა დაატოვებინეს და ახლა ნაქირავებ შენობაში აგრძელებს მუშაობას. მოსახლეობის წარმომადგენლებმა არსებულ სიტუაციაში გარკვევა გვთხოვეს. ჩვენი მხრიდან ყველა დეტალს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან გავივლით და ისევ თქვენი გაზეთით დაინტერესებულ პირებს დამაკმაყოფილებელ ინფორმაციას მივაწვდით. როგორც გვითხრეს, აგრომაღაზია ერთადერთი ობიექტია ქედაში, შუახევსა და ხულოში, რომელიც აგრობარათებითაც ვაჭრობს. გარდა ამისა, ფერმერები აქ ყიდულობენ ინვენტარს, სასუქებს, შხამ-ქიმიკატებს.

**- ქიძინიძეების - ხეხილის, ახალდაბის ვაზის სანერგეებზე რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

- როგორც საჩითილე მეურნეობას, ასევე, სანერგეებს მზრუნველი ხელი ატყვია. ბევრი თქვეს ახალგაზრდა აგრონომ ლაშა შანიძის მუშაობაზე. მას ორი წელია ვაზის სხვადასხვა ჯიშის, თანაც ისეთების, როგორებიც მთის მკაცრ კლიმატზეა აპრობირებული, ნერგები გამოჰყავს და ფერმერებს ხელმისაწვდომ ფასებში აწვდიან. მართლაც რომ გარემო პირობების გათვალისწინებით შერჩეულ ტერიტორიაზეა ქიძინიძეების (გორგივლის უბანი) სანერგე. აქ შემოტანილი აქვთ კაკლის, ვაშლის, მსხლის, ქლიავის, ტყემლის ნერგები, რომლებისგანაც დასამყნობ კვირტებს ან კალმებს აიღებენ. ირგვლივ მხოლოდ ფოთლოვანი ტყეა, რაც პირობებს ქმნის, რომ სანამყენე კვირტი ან კალამი არ გადაჯიშდეს.

**- დასაქმებულებმა სახელფასო ანაზღაურებაზეც დაიჩივლეს?**

- ქვეყნის, რეგიონის ხელმძღვანელობის პოლიტიკა ადამიანების კეთილდღეობაზეა ორიენტირებული. ჩვენი მიზანია, ადამიანებს შრომა შევუმსუბუქოთ, მათი ოჯახების ბიუჯეტის გაზრდაზე ვიზრუნოთ. ეს პრობლემაც გადაიხედება, დაპირებები არ მჩვევია და არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, დადებითად მოგვარდება.

**- საუბარი იყო შუახევში მეცხოველეობის სანაშენე მეურნეობის გახსნაზე...**

- შუახევში ფერმერებს გავესაუბრეთ. გამოიკვეთა, რომ საჩითილე მეურნეობაში გამოყვანილმა კიტრის, პომიდვრის, ბადრიჯნის ნერგებმა სერიოზული გავლენა იქონია დაკნინებული ბოსტნეულების ჯიშობრივ გაუმჯობესებაზე. აჭარის მთიანეთში, განსაკუთრებით მარეთის, ჭვანის, ღორჯომის ხეობებში მეცხოველეობა ისევ პრიორიტეტულ დარგად რჩება. შორს რომ არ წავიდეთ, მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის საერთაშორისო პროგრამა «იფადის» ღონისძიებები გავიხსენოთ. მათ მიერ შემოყვანილმა მაღალპროდუქტიული ჯიშის საქონელმა კარგი შედეგი დატოვა. ჩვენ თუ აჭარის მთიანეთის, თუნდაც - შუახევის ან ხულოს მუნიციპალიტეტებში მეცხოველების ერთი სანაშენე მეურნეობა გვექნება, მნიშვნელოვნად მომგებიანი იქნება ადგილობრივი ფერმერებისთვის. აჭარის მთიანეთის სოფლებში როცა კოლმეურნეობები იყო და მაღალპროდუქტიული პირუტყვი შემოჰყავდათ, ძროხების პროდუქტიულობაც საკმაო იყო, დღეს ეს პრობლემა გახდა. მართალია, ქვეყნის, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროების პროგრამებითა და ქვეპროგრამებით მაღალპროდუქტიული მაკე დეკეულები შემოიყვანეს, მაგრამ მათ ადგილობრივ პირობებთან შეგუება გაუჭირდათ, ბევრს ნამატი დაეღუპა, ბევრიც თავად გახდა გარემო პირობების მსხვერპლი. სანაშენე მეურნეობაში კვალიფიციური სპეციალისტები ძროხასაც მოუვლიან და ნამატსაც შეინარჩუნებენ, რაც ადგილებზე პირუტყვის ჯიშობრივ გაუმჯობესებას სასიკეთოდ წაადგება. როგორც მრავალ პრობლემას, მეცხოველეობის სანაშენე მეურნეობის გახსნის საკითხსაც რეგიონის ხელმძღვანელობასთან, კვალიფიციურ სპეციალისტებთან გავივლით.

> ***ემზარ ჯაფარიძემ და სხვებმა იმაზეც დაიჩივლეს, რომ ვეტერინარული კლინიკა აღარ ფუნქციონირებს, ყოფილი აგრომაღაზიის მენეჯერს როლანდ მიქელაძეს შენობა დაატოვებინეს და ახლა ნაქირავებ შენობაში აგრძელებს მუშაობას. მოსახლეობის წარმომადგენლებმა არსებულ სიტუაციაში გარკვევა გვთხოვეს. ჩვენი მხრიდან ყველა დეტალს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან გავივლით და, ისევ თქვენი გაზეთით, დაინტერესებულ პირებს დამაკმაყოფილებელ ინფორმაციას მივაწვდით***

**- საჩითილე მეურნეობაში თამბაქოს ჩითილებიც გამოიყვანეს და არც რეალიზაცია იყო პრობლემა. სოფლის მეურნეობის ამ დარგის განვითარებაზე რა შეხედულება გაქვთ?**

- შუახევში ისიც მითხრეს, რომ მახალაკიძეებელ შოთა ფუტკარაძეს ჩანდლერის ჯიშის კაკლის ბაღი აქვს. წელს აჭარის მთიანეთის მეტწილ სოფლებში ნიგოზი მოიყინა და ხეები ლამის გახმობის პირას მივიდა. იმავე ქიძინიძეების ხეხილის სანერგეში ვნახე სამწლიანი ნერგები, რომლებიც უკვე მსხმოიარეა და ნაყოფიც შენარჩუნებული აქვს. შოთა ფუტკარაძეც კარგი მოსავლის მოლოდინშია. დიოკნისში ფერმერს კენკროვნების, კერძოდ, ჟოლოს ბაღი აქვს. ხულოში რამდენიმე ფერმერი ვარდებისა და ტიტების მოშენებითაა დაკავებული. ავ თვალს არ ენახება საღორეთელი ნოდარ შერვაშიძის, გეგელიძეებელი ფრიდონ სირაბიძის, ამირან დუმბაძის, ვაიოელი თეიმურაზ შავიშვილის, დანდალოელი ავალიანების, ნიგაზეულელი გურამ აბაშიძის, ნენიელი ზურამ ქამადაძის, შოთა მიქელაძის ზვრები, სხალთელი იზოლდა სურმანიძის მოცვის ნაკვეთი. ვისაც მოესურვება თამბაქო გააშენოს, წინააღმდეგები არ ვართ, მაგრამ გასულ საუკუნეში ამ კულტურამ აჭარის მთიანეთში რა ზიანიც დატოვა, დღემდე ვიმკით. ორსული ან ჩვილბავშვიანი ქალი როცა თამბაქოს ნაკვეთში ანდა ფარდულებში მუშაობით იყო დაკავებული, ეს თაობების ნორმალურ განვითარებაზე უარყოფით კვალს ტოვებდა.

**- მოცვის პლანტაცია ახსენეთ. სოფელ ბუთურაულში ეს კულტურა საკმაო ფართობზე იყო გაშენებული. ახლა საერთოდ ამოძირკვეს?**

- ყველა საქმე კვალიფიციური სპეციალისტების დასკვნის საფუძველზე უნდა წარვმართოთ. თვალის ერთი შევლებით ან ვიღაც-ვიღაცების გულის მოსაგებად თანხა არ უნდა იხარჯებოდეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნერგის გაფუჭებაც ზარალიანი საქმე იყო. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სპეციალისტებთან ერთად ყველა სასიკეთო წამოწყებასთან დაკავშირებით რეკომენდაციებს გავივლით და საქმეს ხელს ისე მოვკიდებთ. ნდობას გამართლება სჭირდება.

**- უახლოეს გეგმებზე რას იტყვით?**

- სულ მალე ხელთ გვექნება კონკრეტული პროექტებისა და პროგრამების ნუსხა და მის შესაბამისად ვიმუშავებთ. ალბათ მალე რამდენიმე ახალი სანერგე, საჩითილე მეურნეობა გვექნება. ახლის შენებასთან ერთად, არსებულსაც მივხედავთ. მომთხოვნელობით თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობასაც ავამაღლებთ. სოფელი, ტრადიციული დარგები ოდითგანვე ქვეყნის გადამრჩენი იყო. ერთ დროს თითქმის ყველა სოფელში მეფუტკრეები იყვნენ. ახლა თითზე ჩამოსათვლელები არიან. ჩვენი წინაპრები ჯარის თაფლს აწარმოებდნენ, რაც დიდი მოწონებით სარგებლობდა. მეფუტკრეებსაც, ისევე როგორც სხვა ფერმერებს, ჩვენგან ხელშეწყობა ექნებათ. ადგილობრივი თუ უცხოელი ვიზიტიორები გაოცებულნი არიან, როცა კლდის ქარაფებზე შემოდგმულ სკებს ათვალიერებენ. გოდერძის ალპურ ბაღში შევხვდი უცხოელ ტურისტებს, რომლებიც გულდასმით აკვირდებოდნენ ჯარის სკას, ნაყრის სკაში გადატანის პროცესს. მთა, იქ საქმიანობა ყველასთვის საინტერესოა და ჩვენი ვალია, უფრო მიმზიდველი გავხადოთ.

# იმპორტირებული საზამთროს ნიმუშებში ნიტრატების დასაშვებ ნორმაზე მეტი შემცველობა გამოვლინდა!



სურსათის ეროვნული სააგენტო ბაზარზე განთავსებულ საზამთროს მთელი ქვეყნის მასშტაბით ამოწმებს. სააგენტოს ინფორმაციით, მისმა ინსპექტორებმა საბითუმო და სავაჭრო ობიექტებიდან იმპორტირებული საზამთროს ნიმუშები აიღეს და აკრედიტებულ ლაბორატორიაში გამოიკვლიეს.

კვლევის შედეგებით, აღებული 12 ნიმუშიდან, ყველა მათგანში ნიტრატების ოდენობა დასაშვებ ზღვარს აღემატება.

მათივე ინფორმაციით, დარღვევებთან დაკავშირებით სააგენტომ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები განახორციელა.

„ბიზნესოპერატორს დაევალა სურსათის განთავსების აღკვეთა/ამოღება/განადგურება. სააგენტო განაგრძობს ბაზარზე განთავსებული საზამთროს ნიმუშების აღებასა და კვლევას“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

# საქართველოში კორონავირუსის ათობით შემთხვევა ფიქსირდება

*ქვეყანაში კორონავირუსის არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა, თუმცა პიკს შემოდგომისთვის ვარაუდობენ. პანდემიის დასრულების ერთადერთ გზად სპეციალისტები კვლავ ვაქცინაციას მიიჩნევენ*



სწორედ ამ მიზნით, 3 ივლისს, ბათუმში, იმუნიზაციასთან დაკავშირებით, მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა. ჟურნალისტებს, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან ერთად, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე შეხვდა. ვაქცინაციის აუცილებლობის გარდა, საუბარი იყო ქვეყანაში 2 წლის განმავლობაში კორონავირუსის შედეგებზე, ასევე, პანდემიის დადებით და უარყოფით მხარეებზე.

- პირველი, არ ვიცოდით ვირუსის შესახებ, თუ რა იყო, მერე დაიწყო მისი თანდათანობითი გაფართოება. განსაკუთრებით მძიმე იყო 2020-21 წლები. შემდეგი ეტაპი იყო შეჩვევის, როდესაც ჩვენ ვისწავლეთ ვირუსთან თანაცხოვრება, ახლა კი თითქოს ვირუსი შესუსტებისკენაა მიმართული, თუმცა ასე ვვარაუდობდით 2020 წლის ზაფხულშიც და, სამწუხაროდ, შევცდით. შესაბამისად, მძიმე იყო როგორც 2020 წლის გვიანი შემოდგომა, ასევე, 2021 წლის ზამთარი. ახასიათებდა ბევრი შტამი და ქვეშტამი, ანუ მუტაცია განიცადა, იყო ალფა, დელტა და შემდეგ კი ომიკრონი. ამ ეტაპზე, ქვეყანაში ცირკულირებს ომიკრონი, ადრე თუ გავრცელებული იყო ომიკრონის BA 1 და BA 2, ახლა ცირკულირებს BA 4 და BA 5 შტამები, ეს უკანასკნელი მეტად გადამდებია, თუმცა სიკვდილიანობა შემცირებულია, - განაცხადა მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე ამირან გამყრელიძემ. მისივე თქმით, 3 ივნისის მონაცემებით, საქართველოში კორონავირუსის 300 შემთხვევაა, თუმცა არ არის მომატებული ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი საზოგადოებას ვაქცინაციისკენ მოუწოდებს, რადგან მიაჩნია, რომ ერთადერთი დაცვის საშუალება სწორედ მასობრივი იმუნიზაციაა.

- ვაქცინასთან ერთად არსებობს პრეპარატი „პაქსლოვიდი", დადასტურებულ შემთხვევებში თუ ბევრი რისკ-ფაქტორია, პაციენტს „პაქსლოვიდი" ენიშნება 5 დღის განმავლობაში, მას აქვს 90% ეფექტურობა. თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ ყველაზე ეფექტური საშუალება მაინც არის ვაქცინა. მოსახლეობის 45%-ია აცრილი, სხვათა შორის, აჭარა ლიდერობს, ლიდერობს, ასევე, საჩხერე, ონშიც არის კარგი შედეგი, დანარჩენი ყველა რეგიონი ჩამორჩება. 60%-ია აჭარაში აცრილებისა, თუმცა ეს საკმარისი არ არის, უნდა იყოს მოსახლეობის 80% მაინც ვაქცინირებული. რომ აცრილიყო 80%, არ იქნებოდა ამდენი სიკვდილიანობა. მინისტრის ბრძანებით, ქვეყანაში მეორე ბუსტერდოზაა შემოსული. მინდა გითხრათ, რომ ეს სერიოზულად იცავს. მოვუწოდებ ყველას, განსაკუთრებით სამოც წელს ზემოთ ასაკის ადამიანებს - პირველი-მეორე აცრა და ბუსტერი სავალდებულოა და შემდეგ კიდევ ერთი ბუსტერის ჩატარება მნიშვნელოვნად დაიცავს მათ ჯანმრთელობას.

ეკონომიკა, განათლება, ტურიზმი, ინფრასტრუქტურა - ეს არასრული ჩამონათვალია, რაზეც პანდემიამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა.

- 2020-21 წლებში პანდემიას ქვეყნების ეკონომიკაზე დიდი გავლენა ჰქონდა. ბათუმი ტურისტული ქალაქია, ტურიზმი სერიოზულად შემცირებული იყო. პანდემია შეეხო კულტურასა და ქვეყნის უსაფრთხოებასაც, გარემოს და, რაც მთავარია, ადამიანის ჯანმრთელობას. ვერაგმა სენმა შეიწირა დაახლოებით 6,3 მილიონი ადამიანის სიცოცხლე, ხოლო ვაქცინამ გადაარჩინა 20 მილიონი ადამიანი მსოფლიოში. რაც შეეხება პირბადეების გამოყენებას, ქვეყანაში მოიხსნა პირბადით გადაადგილების ვალდებულება, თუმცა რეკომენდაციას ვიძლევი, დახურულ სივრცეში აღდგეს პირბადის მოხმარება. ამასთან დაკავშირებით მქონდა საუბარი სამინისტროსთანაც. ყველა ცუდში რაღაც კარგიც არის. შეიქმნა ძალიან ეფექტური ვაქცინა და ძალიან ეფექტური რამდენიმე მედიკამენტი. სამი სცენარი განვითარდა ამ ორი წლის განმავლობაში, პირველი - ვირუსი თანდათან სუსტდება, მეორე - ოპტიმისტური სცენარი, ანუ შესაძლოა ვირუსი საერთოდ გაქრეს და მესამე - ძალიან ცუდი სცენარი, ის, რომ არ არის გამორიცხული, გაჩნდეს ძალიან აგრესიული შტამები, უფრო მაღალი გავრცელებით და სიკვდილიანობის უფრო მაღალი მაჩვენებლით. უმრავლესობა მაინც ვფიქრობთ პოზიტიურად და იმედი მაქვს, ყველაფერი ძალიან მსუბუქ ფორმებში წარიმართება, - განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

გაეროს ბავშვთა ფონდმა კორონავირუსის პანდემიის დაწყებისთანავე რეაგირების მყისიერი ღონისძიებები გაატარა. მთელი საქართველოს მასშტაბით დაუცველ ოჯახებს უმნიშვნელოვანესი და გადაუდებელი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, სურსათითა და ჰიგიენური საშუალებებით დაეხმარა (14000-ზე მეტ პირს). პრიორიტეტი მიენიჭა ყველაზე დაუცველ ოჯახებს, მათ შორის, შინამეურნეობებს, სადაც ოჯახს ქალი უძღვება, მრავალშვილიან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვიან ოჯახებს, აგრეთვე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებსა და ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარე რაიონებში მცხოვრებ მოსახლეობას. ამას გარდა, აჭარაში თვითიზოლაციაში მყოფ 450 ორსულ ქალს და ბავშვს საკვები დანამატები გადაეცა. კორონავირუსის პანდემიაზე მყისიერი რეაგირების პროცესში ციფრულ ტექნოლოგიებზე გადასვლამ საკვანძო როლი ითამაშა ბავშვებისათვის ჯანდაცვის, განათლებისა და უმნიშვნელოვანესი სოციალური სერვისების უზრუნველყოფის მხრივ. გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით მთავრობამ შეიმუშავა ონლაინ სასწავლო მასალა დაახლოებით 414000 ბავშვისათვის, დაიწყო სოციალური სერვისების დისტანციური და ჰიბრიდული ფორმით განხორციელება, აგრეთვე შეიქმნა სპეციალური სატელევიზიო პროგრამა და ფეისბუქის გვერდი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლების მხარდასაჭერად. დაახლოებით 5 370 ონლაინკონსულტაცია ან/და ტრენინგის სესია ჩატარდა მოზარდებთან, მათ შორის, სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფ მოზარდებთან, მათი ფსიქოსოციალური საჭიროებების შესაბამისად. ფსიქოსოციალური მხარდაჭერა გაეწია აგრეთვე მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელებსა და მინდობით აღზრდაში ჩართულ მიმღებ ოჯახებს.

- სამწუხაროდ, მოსახლეობის დიდი ნაწილი ეწინააღმდეგება ვაქცინაციას, აუცილებელია იმუნიზაციის პროგრამა, განსაკუთრებით - ბავშვებისთვის, სწორედ ამიტომ ხდება შეხვედრები, კამპანიები, რათა გავრცელდეს ინფორმაცია ვაქცინაციის ჩატარების აუცილებლობაზე, - განაცხადა გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა ემი ქლენსმა შეხვედრაზე. სპეციალისტების თქმით, მოსახლეობა ვირუსთან თანაცხოვრებას შეეჩვია, ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ დაიხურება სასწავლო დაწესებულებები. ეს იქნება ყველაზე გამოუვალ მდგომარეობაში. მიუხედავად იმისა, რომ შემოდგომაზე ვირუსის შემთხვევების მატებას ვარაუდობენ, სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ პანიკის საფუძველი მაინც არ არსებობს.

# ერთიანი ეროვნული გამოცდები ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდით დაიწყო

***4 ივლისს ერთიანი ეროვნული გამოცდები დაიწყო, აბიტურიენტებმა თავიანთი ცოდნა ქართულ ენასა და ლიტერატურაში უკვე გამოავლინეს. რეგისტრაცია დილის 8 საათზე დაიწყო. მეორე სესიის რეგისტრაცია კი 2 საათზე იყო ჩანიშნული***



- ჩვენთან ეს პერიოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ამაღელვებელია. რადგან დღეს აბიტურიენტებისთვის ცხოვრების ახალი, მეტად საპასუხისმგებლო ეტაპი იწყება. მსურს, მადლობა გადავუხადო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის თანამშრომლებს და ყველა იმ უწყების წარმომადგენლებს, რომლებიც ჩართულნი არიან გამოცდების ორგანიზების პროცესში. სწორედ თქვენი დამსახურებაა, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით, გამოცდებისთვის მშვიდი, კომფორტული და აკადემიური გარემოა უზრუნველყოფილი, რაც თითოეულ გამოსაცდელს თავისი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის შესაძლებლობას აძლევს. მინდა წარმატებები ვუსურვო თითოეულ აბიტურიენტს, სტუდენტთა საგრანტო კონკურსში მონაწილეებს, მაგისტრანტობის კანდიდატებს, მასწავლებლობისა და პედაგოგის სტატუსის ამაღლების მსურველებს! თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნის მომავალი და მჯერა, თქვენი პროფესიონალიზმით არაერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგამთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ! - მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა აპლიკანტებს.

აბიტურიენტების თქმით, საგამოცდო ცენტრებში, თავიანთი ცოდნის გამოსავლენად ყველა პირობაა შექმნილი. საკითხებს რაც შეეხება, აბიტურიენტების თქმით, უმარტივესი საკითხები შეხვდათ, აქედან გამომდინარე მოლოდინიც მხოლოდ დადებითი აქვთ.

- ჩემი შვილი 14:00 საათზე შედის გამოცდაზე, მგონი მასზე მეტად ვნერვიულობ, თუმცა კარგია, რომ წელს მოუწია სკოლის დასრულება. მოგეხსენებათ შარშან, შარშანწინ კოვიდრეგულაციებიდან გამომდინარე მეტ-ნაკლები შეზღუდვა იყო, მეტადაც დათრგუნულები იყვნენ როგორც აბიტურიენტები, ასევე მათი მშობლები. ჩემი გოგოს მეგობრები რომლებიც უკვე იყვნენ გამოცდაზე კარგი მოლოდინი აქვთ. საუკეთესო გარემო დახვდათ და განწყობაც მშვენიერი აქვთ, - ამბობს ერთ-ერთი აბიტურიენტის დედა მაია ჯორბენაძე.

აჭარის მასშტაბით 10 287 გამოსაცდელს, მათ შორის, აბიტურიენტებს, სტუდენტთა საგრანტო კონკურსში მონაწილეებს მაგისტრანტობის კანდიდატებს, მასწავლებლობისა და პედაგოგის სტატუსის ამაღლების მსურველებს მიიღებს. ჭელს აჭარაში 4474 სტუდენტია რეგისტრირებული.

- 2022 წლის გამოცდებზე მოხსნილი იქნება პანდემიასთან დაკავშირებული ის რეგულაციები, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში მოქმედებდა. გამოსაცდელებს შეუძლიათ მხოლოდ სურვილის შემთხვევაში ჰქონდეთ პირბადე. ღაც შეეხება პირებს, რომლებსაც ოფიციალურად დაუდასტურდებათ კოვიდ-19, ისინი საგამოცდო პროცესს არ გამოეთიშებიან, მათთვის დამატებით შესაბამისი საგნის ერთი საგამოცდო სესია ჩატარდება. ჩენტრი უფლებამოსილია, სესიაზე მოიწვიოს გამოსაცდელები, ინფიცირებიდან არანაკლებ 7 დღის გასვლის შემდეგ. დამატებითი სესია თითო საგანში მხოლოდ ერთხელ დაინიშნება. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი დამატებითი საგამოცდო სესიის მონაწილეებს განსაზღვრავს დაავადებათა ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ბაზაში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე, - ნათქვამია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

გარდა ამისა, დამატებით საგამოცდო სესიაზე ის აბიტურიენტებიც დაიშვებიან, რომლებიც საერთაშორისო სპორტულ ტურნირებში საქართველოს სახელით მონაწილეობენ და ვერ ახერხებენ გამოცდაზე გამოცხადებას. ასეთ შემთხვევაში აბიტურიენტმა გამოცდიდან 3 დღის ვადაში უნდა წარმოადგინონ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს აბიტურიენტის მონაწილეობას საერთაშორისო სპორტულ ტურნირში. განცხადებები ადგილობრივ რესუსრსცენტრებში მიიღება დილის 8:00-დან 20:00 საათამდე.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის თანახმად, წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 41 000-ზე მეტი აბიტურიენტია დარეგისტრირებული. საქართველოს მასშტაბით 22 საგამოცდო ცენტრია გახსნილი. რაც შეეხება აჭარას, როგორც აჭარის განათლების,კულტურისა და სპორტის სამინისტროში აცხადებენ, სულ ოთხი საგამოცდო ცენტრია, მათ შორის სამი - ბათუმში, ხოლო ერთი - ხულოს მუნიციპალიტეტში. 2022 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები 27 ივლისს დასრულდება.

* * *

ხულოს საგამოცდო ცენტრში სულ 172 აბიტურიენტია რეგისტრირებული. გუშინ გამოცდაზე რეგისტრირებული 58 აბიტურიენტიდან 57 გამოცხადდა.

გამოცდების მიმდინარეობას ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე, მერის პირველი მოადგილე ნადიმ ვასაძე აკვირდებოდნენ.

**გვერდი მოამზადა
ფიქრია დავლაძემ**

# „ვერავითარი ტრენინგი ვერ უზრუნველყოფს რევოლუციის წარმატებით მოწყობას, თუ ხალხი ზურგს არ გიმაგრებს“

*„ნაციონალურ მოძრაობას“ და მის სატელიტებს საქართველოში არეულობისა და რევოლუციის მოწყობის არავითარი რესურსი არა აქვთ“, - ასე გამოეხმაურა პარტია „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში გუშინ გამართულ ბრიფინგზე პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე 3 ივლისის აქციას*



როგორც მან აღნიშნა, საზოგადოებამ დაინახა, რომ რადიკალური ოპოზიციისთვის ევროკავშირის კანდიდატობის თემა მხოლოდ მოგონილი შირმა იყო და სინამდვილეში, ისინი ამ თემის გამოყენებით, საკუთარი ვიწროპოლიტიკური მიზნის მიღწევას - ხელისუფლების გადატრიალებასა და ძალაუფლების ხელახლა ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ: „უკვე საბოლოოდ წაიშალა ყოველგვარი ფორმალური ზღვარიც კი „ნაციონალურ მოძრაობასა“ და საქართველოში მოქმედ ყველაზე მდიდარ „ენჯეოებს“ შორის. გუშინ ცხადი გახდა, რომ ბაკურიანის გეგმა ჩავარდა და მას აღსრულება არ უწერია. ამ გეგმის განხორციელებას ესაჭიროებოდა მთავარი რამ - ხალხის მხარდაჭერა. „ნაციონალური მოძრაობა“, მისი ახალგაზრდული რადიკალური ფრთა „სირცხვილია“ და „ნაციონალური მოძრაობის“ „ენჯეოსატელიტები“ კი ამ მხარდაჭერას ვერასდროს მოიპოვებენ, რადგან მათ მხარეს არ არის სიმართლე“.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ საქართველოში პიტერ აკერმანის ვიზიტს, ბაკურიანის შეკრებასა და ბოლო დროს გამართულ აქციებზე განვითარებულ მოვლენებს შორის კავშირზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ „ვერავითარი ტრენინგი ვერ უზრუნველყოფს რევოლუციის წარმატებით მოწყობას, თუ ხალხი ზურგს არ გიმაგრებს. ამას მხედველობიდან უშვებენ და, აქედან გამომდინარე, თავად იყენებენ საკუთარ თავს ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც გუშინ ჩაიყენეს“.

კობახიძემ ევროკომისიის მიერ დადგენილი 12 პუნქტის შესახებაც ისაუბრა და თქვა, რომ: „ამ გეგმას რადიკალურმა ოპოზიციამ და მასთან დაკავშირებულმა „ენჯეოებმა“ კვლავ დესტრუქციული ქმედებებით უპასუხეს, თუმცა ჩვენთვის მათი ქმედებები ვერცერთ შემთხვევაში ვერ იქნება გეგმიდან გადახვევის მიზეზი. ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს აწ უკვე ოფიციალურად აღიარებული ევროპული პერსპექტივის გასამყარებლად, „ქართული ოცნება“ ზედმიწევნით შეასრულებს თითოეულ პუნქტს, რისთვისაც ყველა საჭირო ნაბიჯი სათანადო ფორმატში და სათანადო ვადებში გადაიდგმება. ვინც რეალურად არის დაინტერესებული საქართველოს მოსახლეობის 85 პროცენტის ნების რეალიზაციით, ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციით და ჩვენი ქვეყნის მიერ კანდიდატის სტატუსის მიღებით, ბუნებრივია, ამ გეგმის განხორციელებაში აქტიურად ჩაერთვება“.

მისი თქმით, მმართველი გუნდი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, იმოქმედებს და გადაიდგმება ყველა ნაბიჯი 12-ვე პუნქტის შესასრულებლად. „რისკები არსებობს, რომ რადიკალურმა ოპოზიციამ კონსტრუქციული მონაწილეობა არ მიიღოს ამ გეგმის შესრულებაში და პირიქით, ეს პუნქტები გამოიყენონ იმისთვის, რომ მაქსიმალურად უარყოფითი მიმართულებით წარმართონ პროცესი, რათა საქართველომ დეკემბერში არ მიიღოს კანდიდატის სტატუსი. ეს მოტივაცია იკვეთება მათ თითოეულ ქმედებაში... თუმცა მე კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ჩვენ ვიმოქმედებთ ჩვენი პასუხისმგებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია, 6 თვის თავზე საქართველომ მიიღოს კანდიდატის სტატუსი. შეიძლება იმ ადამიანებს, რომლებიც გუშინ იყვნენ შეკრებილები, ჰქონდეთ ამის საპირისპირო მიზანი, მაგრამ ჩვენ გავყვებით ჩვენს მიზანს, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ვიმოქმედებთ და ამ ინტერესების გათვალისწინებით გადაიდგმება ყველა ნაბიჯი 12-ვე პუნქტის შესასრულებლად. ესაა ჩვენი პასუხისმგებლობა. შესაძლოა, ვინმეს ჰქონდეს არაოპტიმისტური დამოკიდებულება, თუმცა ჩვენ ვიმოქმედებთ ჩვენი პასუხისმგებლობის მიხედვით“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ქვეყანაში შექმნილ პროცესებს პრეზიდენტი სოციალურ ქსელში განცხადებით გამოეხმაურა და აღნიშნა: „არც კობახიძისეულ და არც რადიკალური ოპოზიციის გეგმას „გადადექი და მე გადმოვდგები“, არაფერი საერთო არ აქვს ნამდვილ ეროვნულ თანხმობასა და კანდიდატობის მიღებისთვის აუცილებელ სამოქმედო გეგმასთან“. ბრიფინგზე პრეზიდენტის ეს განცხადება შეაფასა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ. „როგორც ჩანს, მან ამით გამოხატა წყენა იმის გამო, რომ გუშინ რადიკალურ ოპოზიციას აქცია ჩაუვარდა. სხვა სერიოზულ კომენტარს მის განცხადებაზე ვერ გავაკეთებ. მას რომ ჩაეკითხოთ, რას გულისხმობდა, მაგალითად, ჩვენი გეგმის კრიტიკაში, ვერ გიპასუხებთ, ვერაფერს გეტყვით. ერთადერთი, მან გამოხატა წყენა იმის გამო, რომ რადიკალურ ოპოზიციას აქცია ჩაუვარდა, მათი წარუმატებლობა ეწყინა“, - აღნიშნა კობახიძემ.

კითხვაზე, აიგივებს თუ არა ერთმანეთთან „ნაციონალურ მოძრაობასა“ და სალომე ზურაბიშვილს, ირაკლი კობახიძემ უპასუხა: „არა, უბრალოდ, მათი წარუმატებლობა ეწყინა“.

ბრიფინგზე დასმული კითხვის საპასუხოდ, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების ალბათობა დიდია, თუმცა: „საკონსტიტუციო ცვლილებები არის სუფთა პოლიტიკური საკითხი. ეს არის ის თემა, რომელიც პოლიტიკურ გადაწყვეტას გულისხმობს და ამ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მივიღებთ იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციის მხრიდან გადაიდგმება ნაბიჯები დეპოლარიზაციის მიმართულებით, ერთი მარტივი მიზეზის გამო - სადაც არის პოლარიზაციის მაღალი ხარისხი, უმჯობესია, იყოს მაღალი ბარიერი, სადაც არის პოლარიზაციის დაბალი ხარისხი, იქ შესაძლებელია დაბალი ბარიერი. არავითარი სხვა პირობა არ არსებობს. ჩვენ ვთქვით, რომ საპარლამენტო სუვერენიტეტის პრინციპის შესაბამისად, დავუბრუნდებოდით ამ კანონპროექტის განხილვას. არავითარი პირობა, რომ ამ ცვლილებებს მივიღებდით, არ თქმულა. შანსი იმისა, რომ ეს კანონპროექტი მივიღოთ, ძალიან მაღალია, თუმცა ეს ყველაფერი, ჯამში, დამოკიდებულია იმაზე, რამდენად გადადგამს ოპოზიცია ნაბიჯებს დეპოლარიზაციისკენ“, - განაცხადა კობახიძემ.

**ელენე საყვარელიძე**

## უკრაინა

რუსეთის სრულმასშტაბიანი შემოჭრის პერიოდში, მოვახერხეთ სამშობლოს 400-ზე მეტი დაღუპული დამცველისა და მოქალაქის ცხედრის უკრაინაში დაბრუნება, - ამის შესახებ უკრაინის ვიცე-პრემიერმა დროებით ოკუპირებული ტერიტორიების რეინტეგრაციის საკითხებში ირინა ვერეშჩუკმა განაცხადა. „უკვე გვაქვს 400-ზე მეტი დაბრუნებული ცხედარი, მაგრამ ეს ნამდვილად არ არის საკმარისი, რადგან ვიცით, რომ კიდევ ბევრი ცხედარია. რუსეთს არ სურს აჩვენოს თავის მოქალაქეებს ცხედრების მასობრივი გადაცემა, მათ ესმით, რა სახის აფეთქება მოჰყვება, ამიტომ ამას თითქმის ფარულად, რეკლამის გარეშე აკეთებენ და ცდილობენ, ცხედრები არ გადმოგვცენ“, - განაცხადა ვერეშჩუკმა. მან, ასევე, გაამახვილა ყურადღება რუსების მიერ ცხედრების იდენტიფიკაციის პრობლემაზე. „ნება მომეცით, აგიხსნათ კიდევ ერთი სიტუაცია, რომელიც უკვე პრობლემაა და მომავალშიც იქნება. ვახორციელებთ იდენტიფიკაციას და გენეტიკურ გამოკვლევას ევროპული პროტოკოლების მიხედვით. რუსეთი, პრინციპში, არ უჭერს მხარს ევროპულ ოქმებს. მათ აქვთ საკუთარი პროტოკოლები და მომავალში ეს იქნება დიდი პრობლემა, რადგან გენეტიკური ექსპერტიზა, რომელსაც ისინი ატარებენ, ნამდვილად არ ემთხვევა და სიაში, შეიძლება, ვერც აღმოჩნდეს ის ცხედრები, რომლებსაც ისინი გადმოგვცემენ. ეს არის პრობლემა, რის მოგვარებასაც ვცდილობთ“, - განაცხადა ვერეშჩუკმა.

* * *

დონეცკის ოლქის ქალაქებში სლავიანსკსა და კრამატორსკში რუსეთის მიერ ფართომასშტაბიანი დაბომბვა განხორციელდა, - ინფორმაციას უკრაინული მედია უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელ ივან ბაკანოვზე დაყრდნობით ავრცელებს. მისი განცხადებით, მოწინააღმდეგემ აკრძალული კასეტური საბრძოლო მასალა გამოიყენა. „დაღუპულთა შორის არის ოჯახი 12 წლის შვილთან ერთად. მტრის სამიზნე კვლავ სამოქალაქო ობიექტებია, რომლებიც ოკუპანტებმა კასეტური ბომბებით დაბომბეს“, - განაცხადა ივან ბაკანოვმა.

* * *

ვინარჩუნებთ ლუგანსკის რეგიონის მცირე ნაწილს, ასე რომ, ჩვენს სამხედროებს აქვთ დრო თავდაცვითი ნაგებობების ასაგებად, - ამის შესახებ ლუგანსკის ოლქის სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა სერჰი გაიდაიმ განაცხადა. მისი თქმით, ამ დროისთვის ქალაქ სევეროდონეცკში 8 000-მდე, ლისიჩანსკში კი 10 000-მდე მშვიდობიანი მოქალაქე რჩება. როგორიც ცნობილია, უკრაინულმა ძალებმა ქალაქი ლისიჩანსკი დატოვეს.

* * *

ერთთვიანი ბრძოლის განმავლობაში რუსულმა ძალებმა ომამდელი ქალაქი, 101 000-იანი მოსახლეობით, დამწვარ უდაბნოდ აქციეს, ისინი ყოველდღე გვბომბავდნენ, - ამის შესახებ უკრაინელი ლეიტენანტი ვოლოდიმირ ნაზარენკო აცხადებს, რომელიც უკრაინის ეროვნული გვარდიის ბატალიონ „სვობოდას“ მეთაურის მოადგილეა და რომელმაც სხვა ჯარისკაცებთან ერთად, მეთაურების ბრძანებით, სევეროდონეცკის ოლქიდან უკან დაიხია. „თუ სადმე დედამიწაზე ჯოჯოხეთი იყო, ეს იყო სევეროდონეცკში“, - აღნიშნავს ნაზარენკოს ბატალიონის ჯარისკაცი არტემ რუბანი. მისი თქმით, უკრაინელი მებრძოლების შინაგანი სიძლიერე მათ საშუალებას აძლევდა, ბოლო მომენტამდე დაეცვათ ქალაქი. 24 ივნისს, როცა უკრაინელმა სამხედროებმა ქალაქის დატოვების ბრძანება მიიღეს, ისინი სამი მხრიდან იყვნენ ალყაში მოქცეული და თავდაცვას ქიმიური ქარხნიდან ახორციელებდნენ, რომელსაც თავს მშვიდობიანი მოქალაქეები აფარებდნენ.

* * *

გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროს შეფასებით, რუსეთი ქალაქ ლისიჩანსკზე გამარჯვების გამოცხადების შემდეგ, დონეცკის რეგიონის აღებაზე კონცენტრირდება. „რუსეთის აქცენტი ახლა, თითქმის ეჭვგარეშეა, დონეცკის ოლქის აღებაზე გადაინაცვლებს, რომლის დიდი ნაწილი უკრაინის ძალების კონტროლის ქვეშ რჩება“, - აცხადებენ ბრიტანეთის თავდაცვის უწყებაში. მათივე შეფასებით, დონბასისთვის ბრძოლა მწვავე და დამაუძლურებელი იყო და ნაკლებად სავარაუდოა, რომ უახლოეს კვირებში სიტუაცია შეიცვალოს.

* * *

უკრაინამ თავად უნდა გადაწყვიტოს, როდის დაჯდეს რუსეთთან მოლაპარაკების მაგიდასთან, დასავლელი პარტნიორები კიევს არ უბიძგებენ, - მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ გერმანიის ფედერალურმა პრეზიდენტმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა განაცხადა. „როგორ დასრულდება ომი, ეს საკითხი ღიაა. ახლა ომი ბრძოლის ველზე მიმდინარეობს, მაგრამ მოლაპარაკების პერსპექტივა არსებობს. მხოლოდ უკრაინის გადასაწყვეტია, როდის დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან“, - აღნიშნა გერმანიის პრეზიდენტმა. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ გერმანია მზადაა, მხარი დაუჭიროს უკრაინას, რათა მოლაპარაკებების დაწყებისას მტკიცე პოზიცია ჰქონდეს.

* * *

კრამატორსკის მიმართულებით მტერმა მდინარე სევერსკი დონეცი გადალახა და ლისიჩანსკის და ბელოგოროვკის დასახლებების ტერიტორიებზე იკიდებს ფეხს, - ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ანგარიშშია აღნიშნული. მათივე ცნობით, ხარკოვის მიმართულებით, მოწინააღმდეგის ჯარების დაჯგუფება, არმიის ავიაციის მხარდაჭერით, ორიენტირებულია უკრაინული ძალების მოქმედებების შეკავებაზე და მათი შეტევაზე გადასვლის თავიდან აცილებაზე. „პრუდიანკას დასახლების მიმართულებით უკრაინელმა ჯარისკაცებმა მტკიცედ აღკვეთეს მტრის თავდასხმის მცდელობა. თავდაცვის ძალების კონტროლისა და საკომუნიკაციო სისტემის ჩაშლის მიზნით, მტერი აქტიურად იყენებს რადიოელექტრონულ საბრძოლო კომპლექსებს“, - ნათქვამია ანგარიშში. მათივე ცნობით, სლავიანსკის მიმართულებით მოწინააღმდეგის ქვედანაყოფები თავდასხმის ოპერაციების საშუალებით ცდილობენ დაამყარონ კონტროლი ბოხოროდიჩნეს, მაზანივკასა და დოლინის დასახლებებზე. ბრძოლა გრძელდება. „მტერი შეტევის განახლებისთვის მობილიზაციას ახორციელებს. ამ მიზნით, ქალაქ იზიუმის რაიონიდან სნიჟკივკას დასახლების მიმართულებით ბატალიონის ტაქტიკური ჯგუფი გადაისროლეს და განალაგეს დამატებითი საარტილერიო ქვედანაყოფები“, - აცხადებენ გენშტაბში. მათივე ცნობით, ბახმუტის მიმართულებით მტერმა გააძლიერა უკრაინული ძალების პოზიციების დაბომბვა არტილერიით და მასობრივი სარაკეტო დარტყმები მიაყენა პოკროვსკის, ბერესტოვის, სპირნესა და ვუჰლეჰირსკის თბოსადგურის ტერიტორიებს. მათივე ცნობით, ნოვოპავლივკასა და ზაპოროჟიეს მიმართულებებზე მტერი ახორციელებს სისტემატურ საცეცხლე შეტევას თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების შეკავებისა და სხვა მიმართულებით გადაყვანის აღკვეთის მიზნით.

**მოამზადა**
**ნაირა ფუტკარაძემ**

## ნატოსა და ევროკავშირის შესახებ

**ცოტნე ცაბაძე 27 48 93**

ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებისათვის საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. ისაუბრეს საქართველო-ნატოს თანამშრომლობასა და საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივებზე.

შეხვედრებს ორგანიზაცია „დასავლური ინტეგრაციის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა საქართველოს რეგიონებში“ საქართველოში აშშ-ის საელჩოსთან ერთად ახორციელებს.

- ანალოგიური შეხვედრები ხელს უწყობს ამ სტრუქტურებთან დაახლოებას. ჩვენი მომავალი ევროპასა და ნატოშია, - აღნიშნა შეხვედრაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ.

# გემის ქართველ ქალ მექანიკოს მარიამ გურგენიშვილის სწავლის საფასურს წელს „ტოიოტა ცენტრი ბათუმი“ დაფარავს

ამის შესახებ ინფორმაციას თავად „ტოიოტა ცენტრი ბათუმი“ ავრცელებს. საჩუქარი მარიამს მეზღვაურის პროფესიულ დღეს გამართულ ღონისძიებაზე გადაეცა.

„გემის მექანიკოსობის გადაწყვეტილება რამდენიმე წლის წინ მივიღე. მიხარია, რომ ზუსტად ერთ წელში ამ მიმართულების პროფესიული დიპლომიც მექნება. ჩემთვის ქალისა და კაცის პროფესიები არ არსებობს და ამის დამტკიცებას ყოველდღიური საქმიანობით ვცდილობ. მეზღვაურის პროფესიაში მთავარი მოთმინების უნარი და სიძლიერეა. სწორედ ამიტომ დავუკავშირე ჩემი პროფესია ზღვას, სადაც თავს ყველაზე ძლიერად ვგრძნობ“, - ასე ახსნა საკუთარი გადაწყვეტილება მარიამ გურგენიშვილმა.

„ტოიოტა ცენტრი ბათუმის“ მხარდაჭერა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში 2022-2023 სასწავლო წლისა და მეზღვაურთა სასწავლო-საწვრთნელ და სერტიფიცირების ცენტრში მოქმედ სავალდებულო გადასამზადებელი კურსის (CES) დაფინანსებას მოიცავს.

„ჩვენთვის ძალიან საინტერესო იყო იმის აღმოჩენა, რომ საქართველოში გემის ქალი მექანიკოსი გვყავს. პირველივე კომუნიკაციისას დავრწმუნდით, რომ ამ საინტერესო პროფესიაში მისი განვითარებისთვის მხარი უნდა დაგვეჭირა. საჩუქარი მეზღვაურთა საერთაშორისო დღეს გადავეცით. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა „ტოიტა ცენტრი ბათუმისთვის“ ძალიან მნიშვნელოვანია, შესაბამისად, მარიამის პროფესიულ განვითარებაში მონაწილეობა ჩვენთვის განსაკუთრებული პატივია“, - განაცხადა „ტოიოტა ცენტრი ბათუმის“ კომერციულმა დირექტორმა მაკა სახვაძემ და დასძინა, რომ „ტოიოტა ცენტრი ბათუმი“ მარიამის პროფესიულ განვითარებაში მონაწილეობას მომავალშიც გეგმავს.

*ცნობისთვის: „ტოიოტა ცენტრი ბათუმი“ „თეგეტა ჰოლდინგის“ შვილობილია, რომელიც ბაზარზე 2020 წლიდან ოპერირებს და „ტოიოტას“ ერთადერთი ავტორიზებული ცენტრია დასავლეთ საქართველოში. კომპანია მონობრენდულია და შექმნილია იაპონური ბრენდის სტანდარტების კონცეფციის შესაბამისად. მისი მომსახურება სრულად „ტოიოტას“ მარკის ავტომობილებზეა ფოკუსირებული. სერვისცენტრი აღჭურვილია უახლესი, ლიცენზირებული აპარატურითა და ავტორიზებული პროგრამებით, რომელიც მომხმარებლებს სთავაზობს „ტოიოტას“ ავტომობილების უახლეს სამოდელო რიგს, ორიგინალ სათადარიგო ნაწილებს, აქსესუარებსა და სრულ ავტოსერვისს.*

**ამირან გურიელიძე**



# ფარინგეალური ბურთი - სტრესი თუ დაავადება?

**ქეთევან კილაძე 593 73 45 74**

ფარინგეალური ბურთი - ეს არის მუდმივი შეგრძნება, თითქოს ყელში რაღაც გაგეჩხირა და არ გადაგდის. ადამიანები აღწერენ მას, როგორც უმტკივნეულო, მაგრამ ძალიან უსიამოვნო შეგრძნებას, რომელიც ყლაპვას არ აფერხებს. ეს სიმპტომი 2500 წლის წინ აღწერა ჰიპოკრატემ ძირითადად ისტერიულ ადამიანებში. მოგვიანებით სინდრომს ისტერიული ბურთი (Globuc Hystericus) უწოდეს. მას ხშირად უკავშირებენ მენოპაუზას, სხვა ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. შემდგომში დაადგინეს, რომ ამ სიმპტომს ფსიქოლოგიური და ფიზიკური მიზეზებიც ჰქონდა. დღეს მას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფარინგეალურ ბურთს ან ყელში გაჩხერილ ბურთს უწოდებენ.

გამომწვევი მიზეზები:

**შფოთვა და სტრესი, დეპრესია და გადაღლა** - მათ ხშირად თან სდევს უსიამოვნო შეგრძნება, თითქოს ყელში ბურთი გაქვს გაჩხერილი ან რაღაც გიჭერს და სუნთქვა გიჭირს, თუმცა უმტკივნეულოა და ყლაპვაში ხელს არ გიშლის. პერიოდულად ქრება, როცა ფსიქოლოგიური მდგომარეობა უმჯობესდება, ტრავმულმა და სტრესულმა მოვლენებმა კი შესაძლოა მდგომარეობა დაამძიმოს. ამ დროს გამოკვლევა ვერ დაადასტურებს სტრუქტურულ და ორგანულ დაზიანებას, რომელსაც მსგავსი შეგრძნების გამოწვევა შეუძლია.

**ანთებითი პროცესები** - ტონზილიტი (ნუშურა ჯირკვლების ანთება), ფარინგიტი (ყელის ანთება), ქრონიკული სინუსიტი (ცხვირის დანამატი წიაღების, სინუსების ქრონიკული ანთება). ამ შემთხვევებში უსიამოვნო შეგრძნების მთავარი მიზეზი ყელის არეში მგრძნობელობის მომატებაა.

**გასტროეზოფაგური რეფლუქსური დაავადება** - იგი ქრონიკული პათოლოგიაა და განპირობებულია საყლაპავში, ზოგჯერ ყელშიც, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის შიგთავსის ხშირი ამოსვლით. კუჭში არსებული მჟავა იწვევს ანთებით პროცესს, რამაც შესაძლოა, ყელში ბურთის გაჩხერის შეგრძნება გამოიწვიოს. იმ პაციენტთა დაახლოებით 68%-თან, რომლებიც ყელში ბურთის გაჩხერი შეგრძნებას უჩივიან, ფარინგეალური ბურთი ვლინდება როგორც გასტროეზოფაგური რეფლუქსის სიმპტომი.

**საყლაპავის ზედა სფინქტერის უკმარისობა** - საყლაპავი კუნთოვანი მილია, რომელიც ყელს კუჭთან აკავშირებს. ის ტრაქეასა და ხერხემლის არხს შორისაა მოთავსებული. საყლაპავის ზედა სფინქტერი აქტიურდება სუნთქვის, ყლაპვის, ღებინების დროს და ხელს უშლის საკვები მასის კუჭიდან უკან ამობრუნებას. როცა მისი ფუნქცია დარღვეულია, კუჭის შიგთავსი შესაძლოა საყლაპავში ამოვიდეს, გააღიზიანოს იგი და ყელში ბურთის გაჩხერის შეგრძნება გამოიწვიოს.

**ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები** - ფარინგეალური ბურთი შეინიშნება როგორც ავადმყოფობის მწვავე პერიოდში, როცა ფარისებრი ჯირკვალი გადიდებული ან შეშუპებულია, ისე ჯირკვლის სრული ან ნაწილობრივი ამოკვეთის შემდეგაც.

**ყელის კუნთების დაჭიმულობა** - ყელის კუნთებს სინქრონული შეკუმშვა-მოდუნება ახასიათებს ყლაპვის დროს. როდესაც სინქრონულობა ირღვევა, შესაძლოა ყელში გაჩნდეს დაჭიმულობის შეგრძნება, რომელიც ნერწყვის ყლაპვისას მეტადაა გამოხატული, ჭამის დროს კი სუსტდება, რადგან საკვები კუნთების შეკუმშვას ასტიმულირებს.

**კუნთების შეკუმშვა-მოდუნების დარღვევა** მიუთითებს მიასთენიაზე (ავტოიმუნური ხასიათის ნერვკუნთოვანი დაავადება, რომელსაც კუნთების პათოლოგიური სისუსტე და დაღლილობა ახასიათებს) ან მიოტონიაზე (კუნთის მოდუნების დარღვევა).

**უხეში ზემოქმედება** - თუ დიდ, უხეშ ლუკმას გადავყლაპავთ, უცხო სხეული გადაგვცდება, ეს იწვევს ლორწოვანის გაღიზიანებას და მგრძნობელობის მომატებას, რაც ქმნის შეგრძნებას, თითქოს ყელში რაღაც გაგვეჩხირა, როცა სინამდვილეში იქ აღარაფერია.

**სიმსივნეები** - ყელში არსებულ ცისტას, კეთილთვისებიან ან ავთვისებიან სიმსივნეს ახასიათებს ბურთის გაჩხერის შეგრძნება (მაგ. მერკელის უჯრედების კარცინომა).

ფარინგეალური ბურთის სინდრომი (სიმპტომი) საკმაოდაა გავრცელებული, გვხდება თანაბრად ორივე სქესში, თუმცა ქალები უფრო ხშირად იწყებენ მიზეზების ძებნას. შუახნის ადამიანებში უფრო ხშირია, ვიდრე ახალგაზრდებში.

თუ ყელში ბურთის გაჩხერის შეგრძნებას თან არ ახლავს მოხრჩობა, ტკივილი, ყლაპვის გაძნელება, არ უნდა შევშინდეთ, დისკომფორტი უმეტესად ექიმის ჩაურევლადაც გაივლის. ექიმთან ვიზიტი აუცილებელია, თუ სინდრომს ერთვის: ტკივილი ყელისა და კისრის არეში; წონის კლება; ღებინება; ყლაპვის გაძნელება; ტკივილი ყლაპვის დროს; მოხრჩობის შეგრძნება ყლაპვის დროს; კუნთების სისუსტე; ხილული ან შეხებით საგრძნობი წარმონაქმნი ყელისა და კისრის არეში; სიმპტომები - ცხელება, ლიმფური კვანძების გადიდება.

დიაგნოზის დასადგენად ექიმი ათვალიერებს პირისა და ცხვირის ღრუს, ყელს, საჭიროების შემთხვევაში ნიშნავს ლაბორატორიულ-ინსტრუმენტულ გამოკვლევებს. თუ ობიექტური მიზეზები გამოირიცხა, მიიჩნევა, რომ ეს ნევროზული სიმპტომია.

**მკურნალობა:**

ფარინგეალური ბურთის სპეციფიკური მკურნალობა არ არსებობს, რადგან უმეტესად სტრესთანაა დაკავშირებული და სტრესის მოხსნის ფონზე ქრება თავისთავად. თუ ყელში ბურთი ფიზიკური ფაქტორებითაა გამოწვეული, ტარდება გამომწვევის საწინააღმდეგოდ მიმართული მკურნალობა. დამატებით შესაძლოა დაინიშნოს ცხვირის სპრეი, ანტაციდები, ანტიდეპრესანტები, ფსიქოთერაპია.

თუ ყელში ბურთის შეგრძნება რომელიმე ორგანული პათოლოგიითაა გამოწვეული, დაგვიანებულმა დიაგნოსტიკამ შესაძლოა, არასასურველ გართულებამდე მიგვიყვანოს.

მაქსიმალურად უნდა გავუფრთხილდეთ ყელს, რათა ეს უსიამოვნო შეგრძნება თავიდან ავიცილოთ:

სვით ბევრი წყალი, ის გაათხელებს ცხვირის წიაღებსა და ყელში წარმოქმნილ სეკრეტს, რომელიც ადვილად გამოიდევნება;

ჭამეთ ნელა, კარგად დაამუშავეთ პირის ღრუში საკვები, ღეჭვისა და ყლაპვის პროცესი ხშირად ამსუბუქებს ყელში ბურთის გაჩხერის უსიამოვნო შეგრძნებას;

ნუ მოსწევთ სიგარეტს. თამბაქოს კვამლი ყველაზე დიდი რაოდენობით პირის ღრუში, ცხვირის დანამატ წიაღებსა და ყელში ხვდება და ზრდის ამ უბნებში კიბოს განვითარების რისკს;

თუ ავად ხართ, გაცივდით, ყელში ანთებითი პროცესია, დაასვენეთ ყელი, ილაპარაკეთ ცოტა და ხმადაბლა;

არ იყვიროთ, ისაუბრეთ ხმადაბლა და მშვიდად, არ გაგიღიზიანდებათ ყელის კუნთები და სახმო იოგები არ დაგეჭიმებათ, რაც ყელის არეში უსიამოვნო შეგრძნებისგანაც დაგიცავთ.

# განსახორციელებელი პროექტები მისაღები უნდა იყოს მოქალაქეებისთვისაც და ბიზნესისთვისაც

მე-3 გვერდიდან

**- თუ არსებობს, ასე ვთქვათ, თავისუფალი ნიშა ინვესტიციების კუთხით?**

- როგორც იცით, საინვესტიციო პოლიტიკის წარმმართველი რეგიონის მასშტაბით ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვან სამუშაოებს აწარმოებს ამ მხრივ როგორც ქალაქში, ასევე რეგიონში. ტურისტული და საინვესტიციო მიმართულებით არაერთ ღონისძიებას მასპინძლობს. რამდენიმე ხნის წინ ვუმასპინძლეთ ორ ძალიან მნიშვნელოვან ბიზნესფორუმს საერთაშორისო ასპარეზზე სხვადასხვა მიმართულებით ჩვენი პოტენციალის დემონსტრირების თვალსაზრისით. სოფლის მეურნეობიდან დაწყებული, ყველა სექტორში, ყველა მიმართულებით გაზრდილია ინვესტირების მოთხოვნა. სამიზნე ქვეყნებში (16 სახელმწიფოა) ჩვენი ტურისტული პოტენციალის დემონსტრირება-რეკლამირებას ვეწევით. გარდა მეზობელი ქვეყნებისა, ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, პოლონეთიდან, ევროპის სხვა ქვეყნებიდან ტურისტული ნაკადების ზრდა გვაქვს, რომლებშიც სარეკლამო კამპანიისთვის ვთანამშრომლობთ ისეთ მედიასაშუალებებთან, როგორებიცაა „დოიჩე ველე“, „ევრონიუსი“ და სხვა.

**- მაინც, რომელი ზონები საჭიროებს ამ ეტაპზე განვითარებას ბათუმში? ვხედავთ, რომ გონიოს ზონა არის ძალიან საინტერესო ტურისტებისთვის და აქტიურადაც ვითარდება...**

- გონიოს განვითარებაში მუნიციპალიტეტთან ერთად ჩართულია აჭარის და ცენტრალური მთავრობები, ვინაიდან ეს ის ადგილია, სადაც ინვესტიციების განხორციელებას, განვითარებას არა მარტო ადგილობრივ დონეზე აქვს მნიშვნელობა, არამედ რეგიონის მასშტაბითაც. რაც შეეხება სხვა ტერიტორიებს, იცით, რომ ინდუსტრიული ზონა გვაქვს და იქაც აქტიურად მიდის სხვადასხვა სამუშაო, პირველ რიგში, ინფრასტრუქტურული მიმართულებით. გზების დაგეგმარება ხდება ჩვენ მიერ, რაც დამატებით მოგვცემს საინვესტიციო გარემოს განვითარების საშუალებას. მოგეხსენებათ, მიმდინარე წლის ბოლოს და მომავალი წლის დასაწყისში შევა ექსპლუატაციაში შემოვლითი გზა, რომელიც სატრანსპორტო ნაკადისგან მნიშვნელოვნად განტვირთავს ქალაქის ცენტრალურ ნაწილს. ბულვარის განაშენიანების გენერალური გეგმა, პრაქტიკულად, უკვე დასრულებულია და მოემსახურება მისი პოტენციალის ზრდას როგორც ტურისტული, ასევე რეკრეაციული სივრცის თვალსაზრისით.

**- ისევე, როგორ უცხოეთის არაერთ ქალაქში, შეიძლება თუ არა ველოსიპედებით გადაადგილება მოსახლეობისთვის არა მარტო კომფორტული, არამედ პრესტიჟულიც გახდეს და ამგვარადაც განიტვირთოს ქალაქი ტრანსპორტის თვალსაზრისით?**

- ველოების გენერალურ გეგმაზე აქტიურად ვმუშაობთ და უახლოეს მომავალში დავასრულებთ. თავის დროზე ქაოსურად არის განაშენიანებული ველობილიკები, რაც პრაქტიკულ მოძრაობას ხელს უშლის. რიგი ხარვეზებია დაშვებული... შესაბამისი დარგის სპეციალისტების კვლევების საფუძველზე, ველომომხმარებლებისა და სხვა სოციალური ჯგუფების ინტერესების გათვალისწინებით უნდა მოვახდინოთ მათი ადაპტირება, მათ შორის დაზიანებული მონაკვეთებისა. მეტი კომფორტის შექმნა, თავისუფალი სივრცის გაჩენა, ამავდროულად ველომომხმარებლებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, ისევე როგორც შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა, პრიორიტეტული იქნება.

**- საკუთარი თავი თუ წარმოგიდგენიათ ველოსიპედით სამსახურში მიმავალი?**

- ველოსიპედის საკმაოდ აქტიური მომხმარებელი ვარ, ამ მხრივ ყველაზე მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა ბათუმის ბულვარშია, ამიტომ ხშირად დავდივარ იქ ველოთი თავისუფალი დროის გასატარებლად და გაჯანსაღებისთვისაც. სამსახურთან, სამწუხაროდ, ძალიან ახლოს ვცხოვრობ, პრაქტიკულად - 50 მეტრში, ამიტომ დავდივარ ფეხით.

**- ბათუმის განაშენიანებაში რამდენად შემოვიდა ელიტური სეგმენტი და საკმარისია ეს თუ არა?**

- საბაზრო ეკონომიკა ეტაპობრივად ბევრ რამეს არეგულირებს, მათ შორის, მოთხოვნასაც... ვინაიდან ლაქშერის სეგმენტი ფუფუნებასთან მიახლოებულია და მხარჯველუნარიანი ადამიანების მოთხოვნაა, ეს ბაზრის მიერ რეგულირებადი საკითხია. სასიხარულოა, რომ ხარისხთან მიმართებაში გაჩნდა მოთხოვნები, მათ შორის საცხოვრისების ნაწილში, ასევე მომსახურების სეგმენტთან დაკავშირებით. იზრდება სხვადასხვა სერვისზე ხელმისაწვდომობა, გამოჩნდა უფრო მაღალბიუჯეტიანი, მხარჯველუნარიანი მომხმარებელი და სამომავლოდ ჩვენს ქალაქს აქვს მათი მასპინძლობის პოტენციალი, გაჩნდება შესაბამისი დოვლათი და შევძლებთ უკეთესი ინფრასტრუქტურის, გარემოს შეთავაზებას.

**მარინა მითაიშვილი**

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 4/07/22, 21 10 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# „წარმატება დიდი შრომის შედეგია“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

***ბათუმელთათვის კარგად ცნობილი, მრავალმხრივი ნიჭით გამორჩეული ქეთევან მახარაძე სამართლიანად ფლობს არაერთ საპატიო ტიტულს, სიყვარულით ფერიასაც უწოდებენ და უხარიათ მისი გამოჩენა ნებისმიერ ღონისძიებაზე, რომელსაც თავისი მონაწილეობით ხიბლს მატებს***

*ის შესანიშნავად კითხულობს ქართველ პოეტთა ლექსებს, წარმატებით მონაწილეობს სხვადასხვა საგანმანათლებლო ოლიმპიადასა და სპორტულ შეჯიბრებებში, სკოლაშიც ბეჯითად სწავლობს, დიახ, ათოსანია... და ამავე დროს - წარმატებული სპორტსმენი. იგი ცნობილი მოციგურავეა, საქართველოს ორგზის ჩემპიონი იუნიორთა შორის ფიგურულ ციგურაობაში. არაერთ საერთაშორისო შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა, სლოვაკეთში ოქროს მედალი მოიპოვა, საფრანგეთსა და ბრატისლავაში გამართულ ასპარეზობებზე კი სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდა. ახლახან ერევანში გამართულ ღია სპორტულ ჩემპიონატშიც წარმატებით იასპარეზა, რომელშიც 100-ზე მეტი მოციგურავე მონაწილეობდა. საქართველო ამ ასპარეზობაზე ექვსმა მოციგურავემ წარადგინა, სადაც მათ წარმატებით იასპარეზეს და 1 ოქროს, 3 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. აღიარება ხვდა წილად ქეთევან მახარაძეს - იგი მეორე ადგილზე გავიდა და ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა. სათქმელია ისიც, რომ სპორტულმა კომენტატორებმა შეაქეს და აღნიშნეს მისი ოსტატობა, შესრულების მანერა და ეფექტურობა.*

*ახლა ქეთევანი ბათუმშია, ყინულის სასახლეში ვარჯიშობს, ემზადება ახალი ჩემპიონატისთვის, რომელიც საზღვარგარეთ გაიმართება. კიდევ?.. მოდით, თავად ქეთევანს მოვუსმინოთ.*





**- გილოცავთ, ერევნის ჩემპიონატში წარმატება მოიპოვე. როგორ დაახასიათებ ამ ჩემპიონატს?**

- ჩემს სპორტულ მიღწევებს, განსაკუთრებით ბოლოდროინდელს, ჩემს მწვრთნელ სესილი ბერძენიშვილს ვუმადლი და ჩემს დედ-მამას. დედაჩემი - რუსუდან ანთაძე მუდამ ჩემ გვერდითაა, დამყვება სპორტულ ღონისძიებებზე, მამხნევებს, ძალას მმატებს მისგან წამოსული სიყვარულის შუქი. სპორტში წარმატებას ვერ მიაღწევ, თუ მთელი გულით არ მოეკიდები. ეს ახლა უფრო გავაცნობიერე, უკვე მერვე კლასში გადავედი. გზა გამარჯვებისაკენ რთულია, მაგრამ მიუღწეველი - არაფერი. მთავარია, ისწავლო და გულმოდგინედ იშრომო. ჩემთვის დიდი გაკვეთილი იყო ცნობილი სპორტსმენების მასტერკლასი, რომელიც ბათუმის ყინულის ბაზაზე გაიმართა. ცნობილმა სპორტსმენებმა თავიანთი საუკეთესო ნომრები გვაჩვენეს და გამოცდილებაც გაგვიზიარეს. ეს ერევანში წასვლამდე იყო, მათი რჩევები ძალიან გამომადგა. რაც შეეხება ერევნის ჩემპიონატს, კარგად იყო ორგანიზებული - მოწესრიგებული ბაზა და ყურადღებიანი პერსონალი.

**- როგორც ჩანს, მოგეწონა იქაური გარემო...**

- დიახ, მოწესრიგებული და ლამაზი იყო არა მარტო ჩვენი ბაზა, არამედ ქალაქის თითქმის ყველა ქუჩა, კვარტალი, სადარბაზო, მთელი ქალაქი ვარდ-ყვავილებით იყო მორთული, მათ სურნელებას ახლაც ვგრძნობ. განსაკუთრებით მომეწონა მაღაზიებში მომსახურების კულტურა, პროდუქციის გაფორმების ხარისხი, საქონელი ისე აქვთ გამოფენილი, გეგონება, მუზეუმიაო...

**- მერვე კლასში გადავედიო, გვითხარი. სკოლაზეც გვიამბე...**

- მეშვიდე კლასი ათიანებზე დავასრულე. ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიაში სწავლა ძალიან მომწონს. ისტორია და ქართული ლიტერატურა გამორჩევით მიყვარს, ჩემი ლიტერატურის მასწავლებელი ჩემი საუკეთესო მოძღვარია. მისი დიდი წვლილია, რომ შევიყვარე და გავითავისე პოეზია, ლიტერატურა... და კიდევ, რა თქმა უნდა, ორგანიზაციაში „მწიგნობარი“ რომ ვარ გაერთიანებული, ეს სტიმულს და ახალ შესაძლებელობებს მაძლევს.

**- „მწიგნობრის“ ღონისძიებებზე მუდამ აქტიურობ...**

- ეს ორგანიზაცია ჩვენთვის - ბავშვებისთვის ნამდვილი სამჭედლოა... აქ გვასწავლიან მხატვრულ კითხვას, ეწყობა ტურები და გასვლითი ღონისძიებები, ვეუფლებით ჟურნალისტიკის ანაბანასაც. მაგალითად, „მწიგნობრის“ წევრები ინტერვიუს ვიღებთ ცნობილი პოეტებისა და საზოგადო მოღვაწეებისგან და, როგორც ამბობენ, არცთუ ურიგოდ. ამას წინათ ბათუმში ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე მარინა თექთუმანიძე იყო ჩამოსული, დავესწარი მის საღამოს და შემდეგ ინტერვიუ ჩავწერე.

**- ჩანს, ჟურნალისტიკა გიზიდავს. რატომ?**

- ვიცი, რომ რთული პროფესიაა, მაგრამ საინტერესოა. კითხვა მიყვარს ძალიან, ვცდილობ, ცოდნა გავიფართოო. უფრო მეტად სათავგადასავლო ჟანრის ლიტერატურას ვკითხულობ, დედა მუდმივად ავსებს ჩვენს ბიბლიოთეკას, ასე რომ, ამ ზაფხულში ბევრი წიგნი მაქვს წასაკითხი.

**- ყველაზე საყვარელი „ჩოხოსანი“ გიწოდეს.**

- ამ რამდენიმე წლის წინათ აჭარის ჩოხოსანთა რიგებში რომ მიმიღეს, ისე გამიხარდა, სიხარულისგან ფრთები შევისხი. მათ ღონისძიებებში სისტემატურად ვმონაწილეობ, მოსწონთ ჩემი წაკითხული ლექსები... ყველანი მეფერებოდნენ - ჩვენი ფერიაო. მერე ისიც თქვეს, ყველაზე საყვარელი ჩოხოსანიაო. მიხარია, რომ მათ ვუყვარვარ, მეც თითოეული მათგანი მიყვარს, ყველას სიკეთეს ვუსურვებ.

**- რომ გაიზრდები და დიდი ქალი გახდები, როგორ იცხოვრებ, რას გააკეთებ? ფიქრობ ამაზე?**

- ხშირად ვფიქრობ, მინდა, პროფესია, რომელსაც ავირჩევ, იმდენად კარგად შევისწავლო, რომ დიდ წარმატებას მივაღწიო, დავიკმაყოფილო არა მარტო სულიერი, არამედ მატერიალური ინტერესებიც, რომ შემდეგ სხვათა დახმარება შევძლო, მაგალითად, დავეხმარო მოხუცებს, ბავშვებს, შშმ პირებს... მინდა, ადამიანები ბედნიერები იყვნენ, იღიმოდნენ, უხაროდეთ სიცოცხლე.

ამინ! ნატვრის ასრულებას ვუსურვებ ქეთევანს, რომელიც უყვართ ბათუმელებს, გვჯერა, კვალს დაამჩნევს მშობლიურ ქალაქს.




# „საქართველოს ნაკრებში ბევრი შესანიშნავი მოთამაშეა, ძლიერი გუნდია, რომელიც ძალიან მომწონს“



მოგეხსენებათ, საქართველოსა და იტალიის რაგბის ნაკრებებს შორის მატჩს 10 ივლისს ბათუმი მასპინძლობს. იტალიის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი მარსიო ინოჩენტი საქართველოს ნაკრებს ძლიერ, სტაბილურ გუნდად მიიჩნევს და მასთან რთულ თამაშს მოელის, რომლის სანახავადაც ბათუმში ჩამოვა. ექსკლუზიური ინტერვიუ მან Rugby World Georgia-ს მისცა, საიდანაც ნაწყვეტს გთავაზობთ:

„ბათუმის შეხვედრიდან ისეთივე მოლოდინი გვაქვს, როგორიც ქართველებს - გვინდა, მოვიგოთ, თუმცა თავად ქართველ მორაგბეებთან შეხვედრა უკვე სასიხარულოა. ვიცი, რომ თამაში ძალიან საინტერესო და საკმაოდ რთულიც იქნება. საქართველოს რაგბის ნაკრებს რამდენიმე წლის წინ ფლორენციაში ვუმასპინძლეთ, ახლა კი საქართველოშიც შევხვდებით და ეს ძალიან გვახარებს. ორივე გუნდი საკმაოდ კარგად არის მომზადებული და ორივეს თამამად შეუძლია, ელოდოს გამარჯვებას.

საქართველოს ნაკრები სტაბილური გუნდია ფიზიკურად კარგად მომზადებული მოთამაშეებით, რომლებიც შერკინებაშიც გამოირჩევიან და სხვა პოზიციებზეც. შემთხვევითი არ არის, რომ ბევრი მათგანი საფრანგეთის უმაღლეს დივიზიონში თამაშობს. გყავთ სისწრაფით გამორჩეული სპორტსმენები, როგორიცაა ნინიაშვილი, რომელსაც ინტერესით ვაკვირდები, აფრასიძე, რომელიც „მონპელიესთან“ ერთად საფრანგეთის ჩემპიონი გახდა... საქართველოს ნაკრებში ბევრი შესანიშნავი მოთამაშეა, ძლიერი გუნდია, რომელიც ძალიან მომწონს“.

მარციო ინოჩენტი ამბობს, რომ საქართველოში პირველად სწორედ ამ მატჩის გამო ჩამოვა: „საქართველოში არასდროს ვყოფილვარ. მატჩამდე ორი დღით ადრე ჩამოვალ, შესაბამისად, მეტხანს დავრჩები. ჩემი მეგობრისგან, რომელიც რამდენჯერმე იყო საქართველოში, მსმენია, რომ უმშვენიერესი ქვეყანაა. იმედია, მეც შევძლებ მის უკეთ გაცნობას“.

ამირან გურიელიძე